შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

სპეციალობა: საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი

სამაგისტრო ნაშრომი

ახალი სავაჭრო კავშირები მსოფლიოში და საქართველოს პრაქტიკა

სტუდენტი: ნაზი საგინაშვილი

ხელმძღვანელი პროფესორი: გელა ალადაშვილი

თბილისი

2020

სარჩევი

ანოტაცია 3
Annotation 4
შესავალი 5
თავი I. ვაჭრობის მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობებში 8
1.1. ვაჭრობის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში 8
1.2. მსოფლიო სავაჭრო ბლოკების და საერთაშორისო ორგანიზაციების ანალიზი ...16
თავი II. საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები 24
2.1. საქართველოს სავაჭრო მდგომარეობის ანალიზი და სავაჭრო პარტნიორები 24
2.2. საქართველოში მოქმედი სავაჭრო რეჟიმები და საერთაშორისო ხელშეკრულებები 31
თავი III. საქართველოს საგარეო ვაჭრობის პერსპექტივები 38
3.1. ახალი სავაჭრო კავშირების გავლენა საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე.....38
3.2. მოსალოდნელი შედეგების ანალიზი 44
დასკვნა.....50
გამოყენებული ლიტერატურა:.....56

ანოტაცია

აღნიშულ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ახალი სავაჭრო კავშირები და საქართველოს პრაქტიკა. ნაშრომი მოიცავს შესავალს, სამ თავს, დასკვნას და გამოყენებულ ლიტერატურას. ნაშრომში დეტალურად არის მოცემული საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა ბოლო ათწლეულის მონაცემების მიხედვით.

ნაშრომის პირველ თავში განვიხილეთ ვაჭრობის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში, მსოფლიო სავაჭრო ბლოკების და საერთაშორისო ორგანიზაციების ანალიზი. აღნიშნულის გაანალიზებისას დადგინდა, რომ ვაჭრობა საერთაშორისო ურთიერთობების განუყოფელი ნაწილია და მის გარეშე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას განვითარების შესაძლებლობა არაქვს შეზღუდული რესურსების პირობებში.ამავე თავში განვიხილეთ მსოფლიოში არსებული საერთაშორისო სავაჭრო კავშირების და საერთაშორისო ორგანიზაციების დაარსების და მათი საქმიანობის სპეციფიკა.

ნაშრომის მეორე თავის განხილვისას გამოვიყენეთ საქართველოს საგარეო ვაჭრობის მონაცემები, რომლის გაანალიზების შემდეგ ნათლად გამოჩნდა საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა და თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების დამყარება სხვადასხვა ქვეყნებთან.

სამაგისტრო ნაშრომის დეტალური ანალიზის დროს გამოყენებულია 2014-2018 წლის მონაცემები, სადაც განხილულია საქართველოს ექსპორტის, იმპორტის და საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდის ტენდენცია.სამაგისტრო ნაშრომის დასკვნა, მიღებულია არსებული მასალის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ყოველწლიურად იზრდება, რაშიც უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია საერთაშორისო სავაჭრო კავშირება და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებებს.

Annotation

This Master Degree's Paper provides the review of the new trading unions and the Georgian practice. The Paper is composed of the introduction, three chapters, conclusion and list of references. The Paper reviews the dynamics of the foreign trade of Georgia in details for the past decade.

The first chapter of the paper presents the role of the trade in the international relations, and analyzes the world trade blocks and international organizations. The analysis revealed that the trade is the integral part of the international relations and every state in the world is deprived of the opportunity to develop with the limited resources. The same chapter provides information how international trade unions and international organization were created in the world as well as the peculiarities of their work.

When working on the second chapter, we referred to the data of the foreign trade of Georgia, analysis of what revealed that the priority of the Georgia's foreign trade is to actively cooperate with the world trade organizations and establish free trade relations with various countries.

For the detailed analysis of the Master Degree Paper, we relied on the data from 2014-2018, where the tendency of the export, import and foreign trade turnover is reviewed. The conclusion of the paper is the result of the analysis and evaluation of the available materials, according to which the trade turnover of Georgia is increasing annually. The international trade unions and the agreements on free trade play the key role in it.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში ვაჭრობას უდიდესი როლი აკისრია. დღესდღეობით საერთაშორისო ვაჭრობაში მსოფლიოს ყველა ქვეყანაა ჩართული. მსოფლიო ეკონომიკის სწრაფმა განვითარებამ ხელი შეუწყო სხვადასხვა ქვეყნების ურთიერთდა მოკიდებულებას. თავისთავად, პატარა ქვეყნებს, რომელთაც აქვთ შეზღუდული რესურსები ადგილი, რომ დაიმკვიდრონ საერთაშორისო ბაზარზე დიდი ურთიერთ დამოკიდებულება აქვთ საერთაშორისო ვაჭრობაში მაღალგანვითრებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებზე.

იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფოები უხსოვარი დროიდან არიან დაკავებული საქონლის გაცვლა-გამოცვლით, თანამედროვე სავაჭრო სისტემისგან განსხვავებულ ვაჭრობის საშუალებებს იყენებდნენ. ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისგან შეუთანხმებლად, დამოუკიდებლად ცვლიდნენ საგარეო ვაჭრობის დადგენილ სტანდარტებს ქვეყნის ინეტრესიდან გამომდინარე, რისთვისაც იყენებდნენ სხვადასხვა სავაჭრო ბარიერებს მათ შორის: ტარიფების ზრდა, კვოტების დაწესება და ა.შ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო ბაზარზე ვითარება იცვლება, რაც გამოწვეულია ვაჭრობის ლიბერალიზაციით. ყოველდღიურად უფრო ნათლად ჩანს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თავსუფალი ვაჭრობის განხორციელება საგარეო ვაჭრობაში ჩართულ სახელმწიფოებს შორის, ვინაიდან ყველა დროის ეკონომიკური პრობლემაა შეზღუდული რესურსების პირობებში ბაზარზე მოთხოვნის დაკმაყოფილება. ბაზარზე კი სწრაფად იცვლება სიტუაცია, რადგან გლობალიზციის პირობებში განვითარებადმა ქვეყნებმა განავითარეს ეროვნული წარმოება და გაზარდეს საექსპორტო პოტენციალი, რამაც მათი დამოკიდებულება განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე შეამცირა.

სამაგისტრო ნაშრომის თემაა: ახალი სავაჭრო კავშირები მსოფლიოში და საქართველოს პრაქტიკა. ნაშრომის ძირითადი მიზანია შევაფასოთ საერთაშორისო კავშირების და სავაჭრო ორგანიზაციების გავლენა საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაზე.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე განვიხილეთ შემდეგი საკითხები:

- ვაჭრობის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში;
- საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები

▪ საქართველოს საგარეო ვაჭრობის პერსპექტივები

სწორედ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში იწყება საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციების ჩამოყალიბება, რომელსაც საფუძველი დაედო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ჩამოყალიბებით. საქართველოს WTO-ში გაწევრიანებამ გზა გაუხსნა 164 ქვეყანასთან თავისუფალ ვაჭრობაში. საქართველოს ეკონომიკის მქონე სახელმწიფოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია WTO-ში გაწევრიანება, რადგან უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი ხელს უწყობს ბაზარზე რეგუალციების დაწესებას, როდესაც ეროვნული წარმოების პროდუქციასა და იმპორტირებულ საქონელელზე თანაბარი გადასახადი წესდება, ადგილობრივ მეწარმეებს საშუალება აქვთ, რომ საერთაშორისო ბაზარზე გაიტანონ წარმოებული პროდუქცია.შემცირებული სავაჭრო ბარიერები ხელს უწყობს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ზრდას.

საქართველოს ჩართულობა საერთაშორისო ვაჭრობაში, ქვეყნის წინაშე აყენებს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ზრდასთან ერთად, ჰარმონიზაცია მოხდეს საკანონმდებლო დონეზე და ეროვნული სავაჭრო სტანდარტები დაუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს. საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზანია ევროინტეგრაცია, ამის ნათელი მაგალითია ევროკავშირთან გაფორმებული შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ. აღნიშნულმა შეთანხმებამ გზა გაუხსნა ქართულ პროდუქტს ნულოვანი ტარიფით ევროკავშირის ბაზარზე საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების დასადგენად გამოვიყენეთ საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემები, რის მიხედვითაც საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა მართალია ყოველწლიურად იზრდება, მაგრამ იმპორტი ჭარბობს ექსპორტს, რაც ქვეყანაში უარყოფითი სავაჭრო სალდოს საფუძველია. დღესდღეობით უარყოფითი სავაჭრო სალდო 2019 წლის მონაცემებით 5 291.8 მლნ. აშშ დოლარია, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41.2 %-ია.[1]

სამაგისტრო ნაშრომის მესამე თავი არის შემაჯამებელი, იგი დაეთმო საქართველოს საგარეო ვაჭრობის პერსპექტივების განხილვას. განხილულია

[1] https://www.geostat.ge/ka, 20.01.2020

დეტალურად, როგორც საქართველო- ევროკავშირის, ასევე საქართველო-WTO-ს სავაჭრო ურთიერთობები და მათი თანამშრომლობის მომავალი პერეპექტივები.

დასკვანაში მოყვანილია თეორიული და პრაქტიკული მაგალითები თუ რა გავლენა იქონია საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაზე ქვეყნის ახალ სავაჭრო კავშირებში გაწევრიანებამ, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების დადებამ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან.

თავი I. ვაჭრობის მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობებში

1.1. ვაჭრობის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში

თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო ვაჭრობას უდიდესი როლი აკისრია. იგი ეკონომიკური ურთიერთობების უძველესი ფორმა და საერთაშორისო ურთიერთობების განუყოფელი ნაწილია.

ეკონომიკის განვითარების კუთხით ქვეყნები შეგვიძლია დავყოთ სხვადასხვა დონის მიხედვით, რაც თავისთავად განაპირობებს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში სხვადასხვა როლის შესრულებას. რა თქმა უნდა, მაღალგანვითრებული ქვეყნები ლიდერის პოზიციას იკავებენ საერთაშორისო ვაჭრობაში.

თანამედროვე საზოგადოებისათვის წარმოუდგენელია, საერთაშორისო ურთიერთობების გარეშე რომელიმე ქვეყნის განვითარება, თუნდაც ეს იყოს მაღალგანვითრებული და ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყანა. სწორედ საერთაშორისო ვაჭრობა განსაზღვრავს პატარა ქვეყნების განვითარების დონეს, რომელთაც აქვთ შეზღუდული რესურსები მსოფლიოში მიმდინარე პროცესების დასაკმაყოფილებლად.

საერთაშორისო ვაჭრობა მნიშვნელოვან საქმიან კავშირებს ამყარებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს შორის, რაც თავისთავად მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე დიდ ზეგავლენას ახდენს. თანამედროვე ურთიერთობებმა ქვეყნებს შორის ურთიერთობების ფორმა შეცვალეს, ორმხრივი შეთანხმების საზღვრებს გასცდნენ და მრავალმხრივი საერთაშორისო ურთიერთობების სახე მიიღეს.

საერთაშორისო ვაჭრობის თეორიული დასაბუთების ორი სხვადასხვა მიდგომაა გავრცელებული. პირველია თავისუფალი ვაჭრობა, ხოლო მეორე პროტექციონისტული პოლიტიკა, რაც გულისხმობს საგარეო ვაჭრობის აქტიურ რეგულაციებს, ქვეყნის ინეტერსებიდან გამომდინარე.

საერთაშორისო ვაჭრობის უძველესი და საწყისი ეკონომიკური თეორია არის მერკანტილიზმი.[2] მერკანტილიზმის თეორიის მიხედვით ქვეყნის კეთილდღეობა ოქროსა და ვერცხლის მარაგებით განისაზღვრება.[3]

---

[2] მერკანტილიზმი (იტალ. Mercante - ვაჭარი)

[3] გურამ ჯოლია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ., 2015

მერკანტილიზმის ზოგიერთი პრინციპები დღესაც აქტიურად გამოიყენება, მათ შორის ქვეყნის უარყოფითი საგარეო- სავაჭრო ბალანსის დადგენისას. უნდა აღინიშნოს, რომ დროთა განმავლობაში გამოიკვეთა მერკანტილიზმის თეორის უარყოფითი მხარეები, მაგალითად: იგი ნაწილობრივ არ ემსახურებოდა მოსახლეობის დიდი ნაწილის ინტერესებს, რადგან სახელმწიფოს მიერ სუბსიდიის გაცემა გადასახადის გადამხდელი მოსახლეობის ხარჯზე ხორციელდებოდა. სწორედ ამიტომ მერკანტილიზმმა დათმო თავისი პოზიციები და გამოიკვეთა სხვადასხვა სახის თეორიები, რომლებიც დაფუძნებულია თავისუფალ ვაჭრობაზე.

ცნობილი ეკონომისტების მოსაზრების გათვალისწინებით შრომის საერთაშორისო დანაწილება ეკონომიკის განვითარების საფუძველია და იგი ცალკეული ქვეყნების კავშირით და მათი ერთმანეთთან დამოკიდებულებით განისაზღვრება.

ყველა დროის მთავარი ეკონომიკური პრობლემაა, შეზღუდული რესურსების პირობებში ბაზარზე მიმდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილება, როგორც უკვე ავღნიშნეთ საერთაშორისო ბაზარზე მუდმივად ცვალებადია სიტვაცია, რაზეც მოქმედებს სხვადასხვა ფაქტორები.

უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ქვეყანა არ აქვს მნიშვნელობა მაღალგანვითარებულია თუ ბუნებრივი რესურსების დიდ პოტენციალს ფლობს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების გარეშე ვერ განვითარდება და ვერ შეძლებს მხოლოდ თავისი რესურსებით ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. სწორედ ამიტომ საჭიროა მსოფლიოში სხვადასხვა რეგიონებს შორის მრავალფეროვანი სავაჭრო ურთიერთობები.

სწორედ ამ მოსაზრებას ამყარებს დღევანდელი არსებული რეალობა ბაზარზე, სხვადასხვა განვითარებადი ქვეყნები ცდილობენ გახდნენ ურთიერთამოკიდებულები, მაგრამ ზოგიერთი ქვეყნისათვის არ იქმნება სახარბიელო მდგომარეობა, რადგან ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნები გავლენას ახდენენ მათ ეკონომიკაზე, რაც ნაწილობრივ მათ განვითარებას აფერხებს.

საერთაშორისო ვაჭრობა დიდ გავლენას ახდენს არსებული პოლიტიკური სიტვაციის ჩამოყალიბებაზე, რადგან ქვეყნებს შორის მჭიდრო ურთიერთობები

მშვიდობის გარანტია. ზოგიერთი მეცნიერის აზრით სწორედ ვაჭრობა და ომია საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი შემადგენელი ნაწილები.

საერთაშორისო ვაჭრობის არსის განსაზღვისათვის ორი არსებითად განსხვავებული თეორია არსებობს. პირველის საფუძველია ლიბერალური ტრადიციები, ხოლო მეორე ეფუძნება ნაციონალისტურს. ამ თეორიების მიმდევრები აბსოლიტურად განსხვავებულად ხსნიან საერთაშორისო ვაჭრობის მიზნებს და შედეგებს.

ღია სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია, ქვეყნებმა სამართლიანი და არადისკრიმინაციული ურთიერთობები დაამყარონ ერთმანეთთან პოზიციონირდნენ ბაზრებზე. ამ ყველაფრის მისაღწევად მნიშვნელოვანია შექმნან ხელსაყრელი პირობები ბაზრებზე შესაღწევად, რისთვისაც ერთ-ერთი გზა სავაჭრო ბარიერების შემცირებაა მრავალმხრივი და ორმხრივი შეთანახმებებით. ბოლო პერიოდამდე, ტრადიციულად ყურადღება ეთმობოდა ტარიფებისა და არასატარიფო ბარიერების შემცირებას, მაგრამ ლიბერალიზაციამ მნიშვნელოვნად შეცვალა სიტვაცია და აღმოცენდა ახალი საშუალებები. საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე ქვეყნების სავაჭრო კანაონმდებლობა უნდა იყოს გამჭვირვალე და ერთმანეთთან თანახვედრაში, რომ ყველა ქვეყანას უნდა ქონდეს თანაბარი შანსი კონკურენციაში მონაწილეობისათვის.

თავისუფალ ვაჭრობას, რომ სარგებელი მოაქვს ქვეყნებისთვის ვეთანხმები იმ ეკონომისტების მოსაზრებას, რომლებიც აღნიშნავენ, რომ საერთაშორისო ვაჭრობა საშუალებას აძლევს ქვეყნებს პოზიციონირება მოიპოვონ იმ საქონლის წარმოებასა და მომსახურებაში, სადაც შეუძლიათ მაქსიმალური ხარისხის მიღწევა მინიმალური დანახარჯებით. ლიბერალების მოსაზრება ეყრდნობა თავისუფალ ვაჭრობას, მაგრამ დღესდღეობით მსოფლიოში არ არსებობს წმინდა სახით თავისუფალი ვაჭრობა და ხშირ შემთხვევაში ხდება სახელმწიფოების მხრიდან ჩარევა.

ნაციონალისტებისათვის განსხვავებით ლიბერალებისაგან დიდი მნიშვნელობა არ აქვს საერთაშორისო ვაჭრობას და მათი აზრით ქვეყნები არუნდა იყვნენ ერთმანეთზე დამოკიდებული და ნებისმიერი ქვეყნის ექსპორტი უნდა

ჭარბობდეს იმპორტს. ასევე განსხვავებული აზრი ჩამოუყალიბდათ საერთაშორისო ვაჭრობის, როგორც მშვიდობის რეგულატორზე. ნაციონალისტების აზრით სწორედ არსებული გლობალური ეკონომიკაა, მომავალი კონფლიქტების საფუძველი, რომელიც გამოწვეულია ბაზარზე მუდმივი ცვლილებით, რაც იწვევს ბაზარზე მოთამაშე ქვეყნების პოზიციების ცვლილებას და შესაძლოა გამოიწვიოს მათი უკმაყოფილება, რაც წარმოშობს კონფლიქტებს.

საერთაშორისო ვაჭრობა არის სხვადასხვა ქვეყნებს შორის ანაზღაურებული საქონელბრუნვის მოცულობა და იგი მოიცავს მსოფლიო ეკონომიკური ბრუნვის 80 %. იგი განსხვავდება შინაარსობრივად საგარეო ვაჭრობისაგან, რომელიც თავის თავში მოიცავს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობას.

საერთაშორისო ვაჭრობა მოიცავს სხვადასხვა ობიექტებს:

- მატერიალური ნივთები;
- ინტელექტუალური საკუთრება;
- მომსახურება

მსოფლიო ვაჭრობა სწრაფი ზრდის ტემპით ხასიათდება. შედარებით სწრაფად მზარდი სფეროა კომერციული მომსახურების სფერო ეგრეთ წოდებული: ,,უხილავი ვაჭრობა"

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საერთაშორისო ვაჭრობაში დაიწო ლიბერალიზაციის პროცესი. ამ პროცესის ფუძემდებელი და ლიდერი გახლდათ ამერიკის შეერთებული შტატები. 1944 წელს გაიმართა შეხვედრა ბრეტონ-ვუდსში, რომ ჩამოეყალიბებინათ ახალი ფინანსური სისიტემა, რადგან იმ დროისათვის აშშ წარმოადგენდა წამყვან ქვეყანას და ფლობდა მსოფლიოში არსებული ოქროს უდიდეს ნაწილს, მათ გადაწყვიტეს სწორედ ამერიკული დოლარისათვის მიებათ სხვადასხვა ქვეყნების ვალუტები. აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად მოხდა დოლარის გადაყვანა ოქროში, რაც განისაზღვრა ერთ უნციაში- 35 დოლარი. [4]

როგორც უკვე ავღნიშნე, აშშ-მ იკისრა ლიდერის როლი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, სწორედ მათ აკისრით უდიდესი როლი ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების შექმნაში, რომელიც ძალაში შევიდა 1947 წელს

[4] ნინო ჟვანია, საერთაშორისო ვაჭრობა, სავაჭრო ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, თბ., 2010. https://www.nplg.gov.ge/geo/home (22.01.2020)

და იგი წარმოადგენდა სატარიფო და სავაჭრო წესების საერთაშორისო კრებულს. სწორედ GATT წარმოადგენდა საერთაშორისო სავაჭრო სისტემების რეგულატორს 1948-1994 წლებში. [5]

გატის შტაბბინა მდებარეობდა ქალაქ ჟენევაში.მისი შექმანა ემსახურებოდა თავისუფალი ვაჭრობისათვის ხელშეწყობას, რაც თავის მხრივ გააუმჯობესებდა ცხოვრების დონეს. მათი მიზანი იყო მიეღწიათ თავისუფალი ვაჭრობისათვის სავაჭრო ბარიერების გაუქმებით. მათი შეიმუშავეს სამი ძირითად პრინციპი: პირველი, არადისკრიმინაცია,რაც წევრი ქვეყნებისათვის თანაბარ პირობებს უზრუნველყოფდა; მეორე, გატის ყველა წევრისათვის უპირობო თანამშრომლობა; მესამე, ვაჭრობის გაზრდა წევრი ქვეყნებისთვის სავაჭრო ბარიერების შემცირებით;

მიუხედავად იმისა, რომ მრავალმა ქვეყანამ არ გაიზიარა GATT-ის პრინციპები და მასში გაწევრიანებული ქვეყნები სათანადოდ არ ასრულებდნენ დაკისრებულ ფუნქციებს, მათ მაინც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციაში. 80-იან წლებში გატის ფუნქციებში მრავალმა ქვეყანამ შეიტანა ეჭვი, რაც გამოწვეული იყო იმდროინდელი ეკონომიკაში განხორციელებული ცვლილებებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გატის კანონები ეხებოდა მხოლოდ საქონელს და მათ გარშემო არეგულირებდა ურთიერთობას, სწორედ ამიტომ გახდა საჭირო მიღებულიყო ახალი კანონები, რომლებიც საქონელის გარდა მოიცავდა, ასევე მომსახურების სფეროს და ინტელექტუალურ საკუთრებას. საერთაშორისო ვაჭრობის სწრაფმა ზრდამ, შეცვალა სახელმწიფოთა ურთიერთადაკავშირება, რის გამოც ჩავარდა ინტრიგა ქვეყნებს შორის, რომ მჭიდროდ დაკავშირებულ მსოფლიოს უარყოფითი შედეგების მოტანა შეეძლო შიდა ეკონომიკისათვის, რამაც გამოიწვია დისბალანსი ეკონომიკური ნაციონალიზმისა და ლიბერალიზმის მხარდამჭერთა შორის, რაც ნაწილობრივ გახდა ვაჭრობის ლიბერალიზაციის შეჩერების მიზეზი.

1980-იან წლებში მსოფლიო ბაზარზე შეიცვალა სიტუაცია, აშშ-მ დაკარგა ლიდერის როლი,რაც გამოწვია იაპონიისა და ევროპის ქვეყნების ეკონომიკის სწრაფმა ზარდამ. ევროპის თანამეგობრობა გახდა უდიდესი სავაჭრო კავშირი, თავდაპირველად მათ შექმნეს შიდა საბაჟო ტარიფები ერთმანეთთან თავისუფალი

[5] გურამ ჯოლია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ., 2015

ვაჭრობისათვის. ამ პერიოდიდან ევროპის ქვეყნების ეკონომიკა უჩვეულო ტემპებით ზრდას განაგრძობს და 1986 წელს საერთო მსოფლიო ვაჭრობის 38.8 პროცენტი შეადგინა. [6] ასევე მნიშვნელოვნად შეიცვალა იაპონიის ხვედრითი წილი მსოფლიო ვაჭრობაში და 3 პროცენტიდან 8.3 პროცენტამდე, აღნიშნული გამოიწვია მნიშვნელოვანმა ინვესტიციებმა იაპონიის ეკონომიკის სფეროში და ისეთი სფეროს განვითარებამ, როგორიცაა: ავტომანქანები, ელექტრონიკა, კომპიუტერები და ა.შ.

ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე შეიქმნა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომელიც დახმარებას უწევდა ისეთ ქვეყნებს, რომელთაც გააჩნდათ შეუსაბამობა ეკონომიკაში. ძირითადად ფონდის დახმარებით სარგებლობენ ქვეყნები, რომელთაც აქვთ ბიუჯეტის დიდი დეფიციტი, აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად ერთ-ერთი გზა გამაჯანსაღებელი პოლიტიკის გატარებაა საგადასახადო და ფულადი პოლიტიკის გამკაცრება მოკლევადიანი კრედიტების გაცემის ნაცვლად. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მითითებით წევრმა ქვეყნებმა დაიწყეს სტრუქტურული ცვლილებები. საერთაშორისო სავალუტო ფონდი პრობლემების მქონე ქვეყნების შემთხვევაში ატარებდა ინდივიდუალურ მიდგომებს, რადგან ხშირად ხისტი პოლიტიკის გატარება არ იყო მომგებიანი და საჭირო იყო მოთხოვნების შერბილება დეფიციტის აღმოსაფხვრელად.

მსოფლიო ბაზრის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს. მსოფლიო ბანკი გასცემს კრედიტს ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებსაც საკუთარი რესურსი არ გააჩნიათ საერთაშორისო ვაჭრობაში ჩასაბმელად. მსოფლიო ბანკის რესურსი იქმნება წევრი სახელმწიფოებისაგან, რომლებიც საწევრო შენატანს აკეთებენ ეკონომიკური განვითარებიდან გამომდინარე.

ვეთანხმები მეცნიერთა მოსაზრებას, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესი საკმაოდ რთულია. დღესდღეობით, ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბებაში, მრავალი სახელმწიფო ღებულობს მონაწილეობას, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, როცა ადრე თანამშრომლობის საკითხების და პრობლემების მოგვარება ხდებოდა ძირითადად ერთი ჰეგომონიური ლიდერის მიერ. სწორედ ჰეგემონიური სტაბილურობის თეორიის მიმდევრების აზრით ერთი

[6] ნინო ჟვანია, საერთაშორისო ვაჭრობა, სავაჭრო ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, თბ., 2010. https://www.nplg.gov.ge/geo/home (22.01.2020)

ლიდერის მიერ მსოფლიო ეკონომიკის მართვა მოგვცემს საშუალებას გრძელვადიან პერიოდში შევძლოთ სტაბილურობის მიღწევა.

დღის წესრიგში აქტიურად დგას მაღალი სავაჭრო ბარიერები ისეთ სფეროებში, როგორებიცაა სოფლის მეურნეობა და მომსახურება. სწორედ ამ პრობლემის მოსაგვარებლად ჩატარდა ურუგვაის რაუნდი და შეეცადნენ გადაეწყიტათ პრობლემები მომსახურებისა და სოფლის მეურნეობის სექტორში. პრობლემებს იწვევს სოფლის მეურნეობის სფეროში გენმოდიფიცირებული პროდუქტის წარმოება, შესაბამისად აშშ- ს მწარმოებლები ხვდებიან პრობლემებს, რადგან ევროპული კანონმდებლობით იკრძალება გენმოდიფიცირებული პროდუქტების გამოყენება.

განვითარებული ქვეყნების ურთიერთვაჭრობა უფრო და უფრო ღრმავდება თანამედროვე პირობებში, ხოლო განვითარებად ქვეყნებთან ვაჭრობის პროცენტული მაჩვენებელი იკლებს, რაც გამოწვეულია ნაწილობრივ განვითარებული ქვეყნების მიერ თანამედროვე ტექნიკის ექსპორტზე გატანით, რადგან განვითარებადი ქვეყნებისათვის მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე აღნიშნული პროდუქცია დიდი რაოდენობით მოთხოვნადი არ არის. ამის პარალელურად იზრდება განვითარებად ქვეყნებს შორის ურთიერთთანამშრომლობა, რაც ზრდის მათ შორის სავაჭრო ურთერთოებებს, ამის ხელშესაწყობად კი იქმნება ერთობლივი ბაზრები და სხვადასხვა ორგანიზაციები, რამაც ხელი შეუწყო მათშორის სავაჭრო ბრუნვის ზრდას და 20.9-დან 40 პროცენტამდე.[7]

თანამდეროვე მსოფლიოში ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალი ერა დადგა, სადაც ინტერნეტ კომუნიკაცია ახალი რესურსია. ციფრულმა ტექნლოგიებმა ახალი შესაძლებლობები მისცა კომპანიებსა და მათ მომხმარებლებს, რის შედეგადაც ისინი შედარებით ურთიერთდამოკიდებულები გახდნენ. მსოფლიო ინტერნეტის გამოყენებამ ახალი ეკონომიკა ჩამოაყალიბა და ქსელურ ეკონომიკას მისცა დასაბამი.

XX საუკუნე გამორჩეულია ელექტრონული ვაჭრობის ჩამოყალიბებით, რომელიც ელექტრონული ბიზნესის შემადგენელი ნაწილია. დასაწყისში

[7] ავთანდილ ოქროცვარიძე, დალი ოქროცვარიძე, მაგდა ვადაჭკორია, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ., 2009

ტელეფონით ვაჭრობამ, საბოლოდ ვირტუალური საბანკო-საფინანსო მომსახურების სახე მიიღო. ელექტრონული გარიგებები ვირტუალურ სივრცეში ხორციელდება, მას იყენებენ გამყიდველები მომსახურების და პროდუქციის შესათავაზებლად, ხოლო მყიდველები სასურველი მომსახურების მისაღებად. ელექრტონულმა ვაჭრობამ შექმნა ახალი შესაძლებლობები ვაჭრობის სფეროში და კიდევ უფრო გაზარდა ურთიერთვაჭრობა. ელექტრონული ვაჭრობის განვითრებამ ახალი პრობლემები წარმოქმნა. მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები 1998 წლიდან მსჯელობენ, თუ როგორ უნდა მოხდეს ელექტრონული ვაჭრობის ხელშწყობა. განვითარებული ქვეყნების მიზანია ინტერნეტი გახდეს ტარიფებისგან თავისუფალი და შეიქმნას კონკურენტული ტელეკომუნიკაციური ბაზრები.

ელექტრონული ვაჭრობის შესახებ განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული რომლის გაზიარება საინტერსოა: ,,ელექტრონულ ვაჭრობას აქვს შიდა სახელმწიფოებრივი საგადასახადო ნორმებისთვის ძირის გამოთხრის შესაძლებლობა".[8]

თანამედროვე მსოფლიოში ყოველდღიურად იზრდება ელექტრონული ვაჭრობით სარგებლობა სხვადასხვა ქვეყნებს შორის. თუ გავითვალისწინებთ 2019 წლის მე-2 კვარტლის მონაცემებს , რომელიც გამოაქვეყნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ, ევროსაბჭოს ტერიტორიაზე ელექტრონული ვაჭრობით მიღებული ბრუნვა 2 ტრილიონ აშშ დოლარამდე აღწევს და მომავალში კიდევ უფრო ზრდას ვარაუდობენ. 2021 წლის სამომავლო პროგნოზით მოსალოდნელია მისი ზრდა 4.5 ტრილონამდე აშშ დოლარამდე. [9]

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის პროცესში ნათელი გახდა, რომ თანამდეროვე მსოფლიო წარმოუდგენელია საერთაშორისო ვაჭრობის გარეშე. ნებისმიერი ქვეყანა მრავალმხრივი ურთიერთობების საფუძველზე ამყარებს საგარეო სავაჭრო ურთიერთობებს მსოფლიოს და რეგიონის სხვადასხვა ქვეყნებთან საერთაშორისო ორგანიზაციების და სავაჭრო ბლოკების საშუალებით. ყოველდღიურად იზრდება მსოფლიო ვაჭრობის ოდენობა, მათ შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია

[8] Basu, S., International Taxation of E-Commerce: Persistent Problems and Possible Developments, Journal of Information, Law & Technology, 2008, 4; (22.01.2020)

[9] OECD, The Role of Digital Platforms in the Collection of VAT/GST on Online Sales, OECD, Paris, 2019, 13; (22.01.2020)

ელექტრონულ ვაჭრობას. ყოველდღიურად იცვლება ბაზარზე მოთამაშე ქვეყნების პოზიციები და ბოლო დროს აღინიშნება განვითარებადი ქვეყნების გააქტიურება საერთაშორისო ვაჭრობაში.

1.2. მსოფლიო სავაჭრო ბლოკების და საერთაშორისო ორგანიზაციების ანალიზი

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ საერთაშორისო ორგანიზაციებს და სავაჭრო ბლოკებს, რომლებმაც რეგულაციებითა და სავაჭრო ბარიერების ცვლილებით სხვა ეტაპზე გადაიყვანეს საგარეო ვაჭრობა. საერთაშორისო ორგანიზაციების ჩამოყალიბება იწყება, როგორც უკვე ავღნიშნეთ ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების ჩამოყალიბებით.

GATT 1948 წელს ჩამოყალიბდა და დასაწყისში 23 ქვეყანა იყო გაერთიანებული. იგი ადგენდა საერთაშორისო ვაჭრობის წესებს, რომ ყველა ქვეყანას შესაძლებლობა ჰქონოდა თანაბარ და სამართლიან პირობებში განეხორციელებინათ ვაჭრობა. GATT დაარსების საწყისი პერიოდი კონცენტრირებული იყო გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებებით. მოლაპარაკების რამოდენიმე რაუნდი დაეთმო ტარიფების შემცირებაზე მოლაპარაკებებს, ამის შედეგად მეექვსე რაუნდის მოლაპარაკებამ გამოიღო შედეგი და სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პრუქცით ვაჭრობაზე შემცირდა დაწესებული ტარიფები. გატის მოლაპარაკებათა რაუნდებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ,,ტოკიოს რაუნდის შეთანხმებას", სადაც მონაწილეობდა 102 ქვეყანა. ამის შედეგად საფუძველი დაედო ახალ შეთანხმებებს, რომელიც თავის თავში მოიცავდა დემპნგს, საბაჟო შეფასებას, სამთავრობო შესყიდვებს და ა.შ. იმის მიუხედავად, რომ წევრი ქვეყნები ვალდებულნი არ იყვენენ აღნიშნული შეთანხმების გავრცელებია უამრავმა მხარემ ეს ვალდებულებები განამტკიცა და შეასრულა.

ურუგვაის რაუნდმა გარდამტეხი როლი შეასრულა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში, რომელიც მარაკეშში 1994 წლის 15 აპრილს ჩატარდა. გატი საბოლოოდ გარდაიქმნა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციად,

რომელიც სრულფასოვანი საერთაშორისო ორგანიზაციაა და მის შექმნას 123 სახელმწიფომ დაუჭირა მხარი.

WTO 1995 წლის 1 იანვარს ქ. ჟენევაში დაარსდა, რომელშიც დღეს გაერთიანებულია 164 ქვეყანა, სწორედ ეს ქვეყნები შეადგენენ მსოფლიო ვაჭრობის 95 პროცენტს. WTO არის საერთაშორისო ორგანიზაცია, განსხვავებით გატისგან, რომელიც მხოლოდ მხარეებს შორის შეთანხმებას არეგულირებდა.

WTO მუშაობის ფუნქციები შემდეგნაირადა ჩამოყალიბებული:

- ✓ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა მსოფლიო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში;
- ✓ საერთაშორისო დავების მოგვარება ;
- ✓ სხვადასხვა სავაჭრო მოლაპარაკებების გამართვა ;
- ✓ WTO-ს წევრი ქვეყნების სავაჭრო პოლიტკაზე თვალყურისდევნება ;
- ✓ სამართლებრივი ბაზების შემუშავება საერთაშორისო ვაჭრობაში უთანასწორობის აღმოსაფხვრელად;

WTO პრაქტიკული მუშაობის საფუძველია სამი საერთაშორისო ხელშეკრულება:

1) გენერალური შეთანხმება ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ იგივე (GATT)
2) გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ იგივე (GATS)
3) შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების სავაჭრო ასპექტების შესახებ

WTO-ს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, რომელსაც ირჩევენ 4 წელიწადში ერთხელ, გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ყველა წევრი ქვეყნის ხმის მიცემა. გენერალური დირექტორი მართავს სამდივნოს. სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება ხდება მინისტრთა კონფერენციის მიერ, რომელიც მინიმუმ ერთხელ იკრიბება წელიწადში. მინისტრთა კონფერენცია მართავს გენერალურ საბჭოს, რომელიც თავის მხრივ განაგებს, მიმდინარე საქმეების შესრულებას და რამოდენიმეჯერ იკრიბება წლის განმავლობაში ჟენევაში.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია მოქმედებს შემდეგი პრინციპებით:

- დისკრიმინაციის გარეშე ვაჭრობა, რაც ნიშნავს წევრი ქვეყნებისათვის ხელშეწყობას, ასევე ადგილობრივი წარმოების და საგარეო ვაჭრობის შედეგად შემოტანილი პროდუქციის თანაბარი პირობების შექმნას;

- კონკურენციისთვის ხელშეწყობა ურთიერთდათმობათა გზებით და დავების გადაწყვეტა მოლაპარაკებების საშუალებით;
- საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება, მრავალმხრივი ხელშეკრულებების დახმარებით;
- შიდა ბაზრის დაცვა , არასატარიფო მექანიზმებით;

WTO-ს სამართლებრივი ნორმები წევრი ქვეყნებისათვის ზუსტი და ძლიერი ინსტრუმენტია და იგი წარმოადგენს წევრი სახელმწიფოებისათვის აუცლებლად შესასრულებელ მოთხოვნას.

ვმო გადაწყვეტილების მიღებისას იყენებს კონსენსუსის პრინციპს, რაც გულისხმობს შეთანხმებას მხარეებს შორის იმის მიუხედავად, თუ რომელიმე მხარე შეთანხმების კონკრეტული პუნქტის მომხრე არ არის მაინც, მხარს უჭერს ერთიან დოკუმენტს საერთო მიზნებიდან გამომდინარე. თითოეულ ქვეყანას ერთი ხმის უფლება აქვს. ვტო-ში გაწევრიანება შეუძლია ქვეყნების გარდა ასევე დამოუკიდებელ ტერიტორიებს და ფედერაციაში შემავალ ნაწილებს. ორგანიზაციიდან წევრ სახელმწიფოებს არ აქვთ შეზღუდვა კავშირიდან გასვლაზე, ასევე უნდა აღინიშნოს რომ კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული ორგანიზაციიდან გარიცხვის მეთოდი.[10]

განსხვავებით გენერალური შეთანხმებისაგნ ვტო-ში შემავალი ყველა ქვეყანა ვალდებულია თავისი შიდამართლწესრიგი ორგანიზაციის ვალდებულებებთან შესაბამისობაში მოიყვანოს. [11]

ვმო-ს ნებისმიერი წევრი სახელმწიფო თანასწორია. იგი ერთ-ერთია იმ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, რომელიც თავის სამოქმედო წესებს ცაკლეული საბაჟო ტერიტორიების და ავტომონიების მიხედვით ავრცელებს. ორგანიზაციაში გაწევრიანება ხანგრძლივ პროცედურასათანა დაკაშირებული. გაწევრიანების მსურველი სახელმწიფოს განაცხადის შემდეგ, სპეციალურად შედგენილი კომისია შეისწავლის კანონმდებლობას და სავაჭრო რეჟიმებს, რის შემდეგაც აღნიშნული დასკვნა წარედგინება მინისტრათა კონფერენციას და გადაწყვეტილების მიღება ხდება კვალიფიციური უმრავლესობით. ვმო-ში გაწევრიანების მსურველმა ქვეყანამ თავიდანვე უნდა განსაზღვროს თავისი

[10] ლეკაშვილი ეკა, საერთაშორისო და რეგიონალური ეკონომიკური ორგანიზაციები, თსუ 2012
[11] გურამ ჯოლია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ., 2015

დამოკიდებულება, როგორი გზით უნდა გააგრძელოს ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ გზა მოახდინოს ვაჭრობის ლიბერალიზაცია თუ პროტექციონისტული პოლიტიკის მეშვეობით შეზღუდოს შიდა ბაზარზე შესვლა, ასევე მათაც უარი თქვან ვმო-ს წევრი ქვეყნების ბაზრის გახსნაზე.

ვმო დღესდღეობით მონოპოლისტია მრავალმხრივ სავაჭრო მოლაპარაკებებში, როგორც ინტელექტუალური საკუთრებით ასევე, საქონლისა და მომსახურებით ვაჭრობის სფეროში. მათი უმნიშვნელოვანესი მიზანია წევრი ქვეყნებისგან შეთანხმების ყველა პუნქტის შესრულება საერთაშორისო სავაჭრო სისიტემის განვითარებისათვის და სწორი მართვისათვის.

ვმო-ს 164 წევრ ქვეყნებიდან, ერთ-ერთია საქართველო, რომელიც ორგანიზაციას 2000 წელს შეუერთდა.

- **გაეროს კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების შესახებ** (UNCTAD)

1964 წელს გაეროს კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების შესახებ ჩამოყალიბდა. მასში გაწევრიანებულია 193 ქვეყანა, მისი სათავო ოფისი მდებარეობს ჟენევაში. მათი მუშაობის ძირითადი ამოცანებია:

- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების საკითხებზე მსჯელობა ;
- ვაჭრობის საკითხებზე პოლიტიკის შეთანხმება;
- საერთაშორისო ვაჭრობის პრობლემებზე მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობა ;

დღეს UNCTAD-ი ანხორციელებს, საერთაშორისო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე სავაჭრო-ეკონომიკური პრინციპების შექმნას. ორგანიზაციის პირობებში მიღებული დოკუმენტები წევრ ქვეყნებს იურიდიულ ვალდებულებას არ ანიჭებს. მაგალითად: საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების და სავაჭრო პოლიტიკის პრიციპები: სახელმწიფოების ეკონომიკური უფლებების და ვალდებულებების ქარტია. [12]

UNICTAD-ის ჩამოყალიბება გამოიწვია 50-იანი წლებიდან განვითარებადი ქვეყნების საერთო მიზნების ჩამოყალიბებამ. მათ წამოიწყეს საუბარი უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, როგორიცაა საერთაშორისო ვაჭრობა და

[12] ეკა ლეკაშვილი, საერთაშორისო და რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციები , თსუ, 2012

ინვესტიციები. აღნიშნული საკითხის განხილვის პერიოდში მხარეები ორ ნაწილად გაიყვნენ, ,,ჩრდილოეთ-სამხრეთი". ჩრდილოეთს წარმოადგენდნენ მდიდარი განვიტარებული ქვეყნები, ხოლო სამხრეთს გავითარებადი სახელმწიფოები. განვითარებადი სახელმწიფოები ითხოვდნენ დახმარების ფორმის შეცვლას ნაკლებად შესამჩნევი ფორმით ნაცვლად პირდაპირი ჩარევისა.[13]

UNCTAD-ის მმართველი ორგანოა კონფერენია, რომელიც 4 წელიწადში ერთხელ იკრიბება. აღმასრულებელი ორგანოა ვაჭრობის და განვითარების საბჭო, რომელიც წელიწადში ორჯერ მართავს შეხვედრას, სწორედ მათი საშუალებით ხდება საბოლოო ანგარიშის წარდგენა UNCTAD-ისთვის.

მათი არსებობის და განვითარების მიზნებია:

- საქონლით ვაჭრობის განვითარება;
- საქონლისა და მომსახურების ბაზრებზე შეღწევა და თავის დამკვიდრება;
- ანტიდემპინგური პოლიტიკის მონიტორინგი;
- თავისუფალი ვაჭრობის ხელისშემშლელი ფაქტორების შესწავლა;
- სავაჭრო პოლიტიკის განსაზღვრა ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთამოკიდებულების განსაზღვრისთვის;
- განვითრებად ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შესწავლა და განვითარების სოციალური პროგრამის შედგენა; [14]

➢ **ევროკავშირი**

ევროკავშირის სამართლებრივი საფუძველია ევროპის გაერთიანება, რომელმაც 1957 წელს გააერთიანა სამი ორგანიზაცია: ევროპის ეკონომიკური გაერთიანება, ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება და ატომური ენერგიის ევროპული გაერთიანება. ევროკავშირის ჩამოყალიბება ექვსი სახელმწიფოს გაერთიანებამ ჩაუყარა საფუძველი- ბელგია, იტალია, ლუქსემბურგი, გერმანია, საფრანგეთი, ნიდერლანდები. დღესდღეობით ევროკავშირი აერთიანებს 28 წევრს. ევროკავშირის ტერიტორიაზე მოქმედებს ევროს ვალუტა, იგი 2001 წლამდე ნომინალურად არსებობდა, ხოლო 2001 წლიდან ქვეყნებს, რომლებსაც ევროზონაში გაწევრიანება სურდათ მიმოქცევაში შემოღეს ევრო.

---

[13] პიტერ ჰ.ლინდერტი, საერთაშორისო ეკონომიკა, 2001 წელი

[14] www.unctad/about/history

ევროკავშირში შემავალი ძირითადი ინსტიტუტებია: ევროპის პარლამენტი, ევროკავშირის საბჭო, ევროკომისია, ევროპული საბჭო, აუდიტორთა სასამართლო და ევროპის ცენტრალური ბანკი. ევროკავშირი ერთობლივი ეროვნული პროდუქტის და საგარეო ვაჭრობის რაოდენობით წინ არის იაპონიასა და აშშ-თან შედარებით. ევროკავშირის საერთო ფართობია 4 324 782 კმ^2, ხოლო მოსახლეობა 508 191 116 ადამიანი.[15] ევროკავშირი აერთიანებს შიდა ბაზარს, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანების, საქონლის, სერვისებისა და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას. ევროკავშირი აერთიანებს მსოფლიო მოსახლეობის 7,3 პროცენტს და დაახლოებით 18, 495 ტრილიონი დოლარის მთლიან შიდა პროდუქტს აწარმოებს.[16]

ევროკავშირის შემადგენელი ინსტიტუტები სხვადასხვა ქვეყნებშია განლაგებული. ევროკავშირის დე-ფაქტო დედაქალაქად ბრიუსელია აღიარებული. ევროკავშირის მეშვეობით ქვეყნებმა თავი აარიდეს უამრავ კრიზისს. ევროკავშირის არსებობის ძირითადად მიზნად მაინც ითვლება მშვიდობის დამყარება წევრი ქვეყნებისათვის. სახელმწიფოებს შორის ჩამოყალიბდა დემოკრატიული პრინციპები და განვითარდა საერთაშორისო ვაჭრობა საქონლის თავისუფალი გადაადგილების პირობებში.

- **დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (CIS)**

დსთ 1991 წელს დაარსდა. მათი მიზანია ერთიანი ეკონომიკური სივრცის დახმარებით წევრი ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური განვითარება. ორგანიზაციაში გაერთიანებული 9 ქვეყანა: აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, სომხეთი, თურქმენეთი, რუსეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი და ყირგიზეთი.

დსთ-ს მიზნებია:

- წევრებისათვის განვითარების პირობების შექმნა მათი ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად;
- ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფორმირება;
- თანასწორი შესაძლებლობების და გარანტიების შექმნა;

[15] https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98#cite_ref-9

[16] European Union reaches 500 Million through Combination of Accessions, Migration and Natural Growth, Vienna institute of demography, (22.01.2019)

- ეკოლოგიური პრობლემებისგან თავის დაღწევის საერთო გზების მოძიება;
- სხვადასხვა საერთო ეკონომიკური მიზნების განხორციელება.

დსთ-ს არმასრულებელი ორგანოა ეკონომიკური საბჭო და აღმასრულებელი სამდივნო. ორგანიზაცია ითვალისწინებს ერთიანი ეკონომიკური კავშირის შექმნას, შეთანხმებას 1993 წელს მოეწერა ხელი და იგი უზრუნველყოფს ცვლილებებს შინამეურნეობაში. თანამეგობრობაში გაწევრიანება შეუძლია ნებისმიერ ქვეყანას, საჭიროა გაითავისონ და დანერგონ თანამეგობრობის საერთო მიზნები. [17]

საქართველო 1993 წლიდან იყო დსთ-ს სრულუფლებიანი წევრი, მაგრამ 2008 წელს საქართველომ მიიღო გადაწყვეტილება თანამეგობრობიან გამოსვლის შესახებ, პროცედურიდან გამომდინარე 2009 წლის 18აგვისტოს საბოლოოდ დასრულდა მათი ურთიერთობა.

- **შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა (BSEC)**

1992 წლის 25 ივნისს დაარსდა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა, რომელიც აერთიანებს შავი ზღვის აუზის 11 სახელმწიფოს: ალბანეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, საბერძნეთი, მოლდვა, უკრაინა, ბულგარეთი, საქართველო, რუსეთის ფედერაცია და რუმინეთი.

BSEC-ის მთავარი მიზანი იყო შავი ზღვის რეგიონის ეკონომიკური გაერთიანება და დემოკრატიული პროცესების მიღწევა.

უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციამ ნამდვილად შეძლო რეგიონის განვითარებაში, თავისი კვალის დატოვება. მან შეძლო რეგიონალური კავშირიდან, საერთაშორისო რეგიონალურ ეკონომიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბება. საერთაშორისო სამდივნოს შტაბ-ბინა ქალაქ სტამბოლში მდებარეობს.

BSEC-ის თავჯდომარე ქვეყანა იცვლება ექვს თვეში ერთხელ ინგლისური ალფავიტის მიხედვით.

BSEC-თან დაკავშირებული ორგანიზაცია შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი (BSTDB). იგი ჩამოყალიბდა 1994 წლის 30 ივნისს და სათავო ოფისი მდებარეობს ქალაქ თესალონიკში. ბანკის ჩამოყალიბების საფუძველია მსოფლიო ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გაერთიანებული ორგანიზაციული მიზნები. ბანკის უმნიშვნელოვანეს მიზანს

[17] ეკა ლეკაშვილი, საერთაშორისო და რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციები , თსუ, 2012

წარმოადგენდა რეგინის განვითარება სხვადასხვა პროექტების დაფინანსებით და წევრი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის ზრდა. ბანკის საწესდებო კაპიტალის 1 მილიარდი აშშ დოლარიდან საქართველო ფლობს 1 პროცენტს 10 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

BISEC ყოველდღიურად უფრო აფართოვებს ურთიერთობებს რეგიონალურ და საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებთან. ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავებისკენ მიდის ბულგარეთის და რუმინეთის გაწევრიანების შემდეგ, რადგან ევროკავშირის და შავი ზღვის რეგიონის საზღვარი უკვე უშუალოდ იკვეთება. [18]

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის პროცესში დადასტურდა, მოსაზრება რომ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება შეუძლებელია საერთაშორისო სავაჭრო კავშირებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების გარეშე. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მნიშვნელოვნად შეიცვალა სიტვაცია მსოფლიოში და რამოდენიმე ქვეყანამ გამოთქვა ლიდერობის სურვილი, რომელთა ძალისხმევით ჩამოყალიბდა საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციები. მსოფლიომ შეიცვალა მსოფლმხედველობა და ძველი ორმხრივი ურთიერთობებიდან გადავიდა მრავალმხრივ კავშირებზე, რამაც თავისთავად განავითარა საგარეო ვაჭრობა და სახელმწიფოებს საშუალება მისცა, თავიაანთი განვითარების მიუხედავად მიეღოთ თანასწორი უფლებები საერთაშორისო ასპარეზზე ვაჭრობის სფეროში.

[18] http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/BSEC.aspx

თავი II. საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები

2.1. საქართველოს სავაჭრო მდგომარეობის ანალიზი და სავაჭრო პარტნიორები

საქართველოსთვის ისევე, როგორც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობა. ამისთვის საჭიროა რეგიონის და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობების განმტკიცება, რაც საშუალებას მისცემს ქვეყნებს საერთო მიზნებიდან გამომდინარე სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის გამყარების. საქართველო ცდილობს დადებითი სავაჭრო ბალანსის დაცვას ქვეყანაში, როგორც ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც ჩართულია საგარეო ვაჭრობაში. დადებითი სავაჭრო ბალანის შინაარსი მოიცავს,რომ საქართველომ უნდა დაიცვას ბალანსი საქართველოში შემოტანილი საქონელში გადახდილ თანხასა და ქვეყნიდან გატანილ საქონელში გადახდილ თანხას შორის.

დადებითი სავაჭრო ბალანსის დაცვა მნიშვნელოვანია, რომ არ გახდეს საჭირო დეფიციტური ვალუტის დისბალანისის გამოსწორება ქვეყნის სხვა ხარჯებიდან. მაშინ, როდესაც ქვეყანას აქვს დადებითი სავაჭრო ბალანსი, ნიშნავს რომ ქვეყენაში ვალუტა მყარია და შესაბამისად ეკონომიკაც იზრდება.

2019 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა წინასწარი მონაცემებით 2.7 პროცენტით გაიზარდა და შეადგინა 12 834.7 მილიონი აშშ დოლარი. აღსანიშნავია, რომ წინა წლის მონაცემებთან შედარებით ექსპორტი გაიზარდა 12.4 პროცენტით, ხოლო იმპორტი შემცირდა 0.8 პროცენტით, შესაბამისად უარყოფით სავაჭრო ბალანსზე აისახა და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41.2 პროცენტი შეადგინა.[19]

საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2014-2019 წლებში (მლნ. აშშ დოლარი) შემდეგ სახეს ატარებდა:

ცხრილი 2.1

წელი	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა	სალდო
2014	2 861.0	8 601.8	11 462.9	-5 740.8
2015	2 204.2	7 300.2	9 504.4	-5 096.0
2016	2 113.0	7 293.9	9 407.0	-5 180.9

[19] https://www.geostat.ge/ka საქონლით საგარეო ვაჭრობა 2019 (20.01.2020)

2017	2 735.8	7 943.1	10 678.9	-5 207.3
2018	3 355.7	9 136.5	12 492.2	-5 780.8
2019	3 771.5	9 063.2	12 834.7	-5 291.8

წინასწარი მონაცემები

საქართველოსთვის სტარატეგიულად მნიშვნელოვანია მეზობელ ქვეყნებთან აქტიური სავაჭრო ურთიერთობების დამყარება. სწორედ ამიტომ იგი სტარტეგიულ მეზობლებთან, როგორებიცაა აზერბაიჯანი, თურქეთი, სომხეთი სამმხრივი მოლაპარაკებების გაფართოვებას ცდილობს, საერთო მიზნების დახმარებთ. რეგიონალური პროექტებიდან აღსანიშნავია ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი და ,,სამხრეთის დერეფნის" პროექტი ენერგოუსაფრთხოებისა და სატრანსპორტო დერეფნის განსავითარებლად. სომხეთთან საქართველოს მომავალი ურთიერთობების განითარებისათვის საჭიროა კიდევ უფრო გაღრმავდეს კავშირები და სავაჭრო-ეკონომიკურიებმა მიიღოს კიდევ უფრო ურთიერთთანამშრომლური სახე.

საქართველოს მჭიდრო კავშირი აქვს უკრაინისა და მოლდოვის სახელმწიფოებთან. დამატებითი საერთო ამ სამი ქვეყნისათვის არის არასტაბილური მდომარეობა ქვეყანაში, რომელიც ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვით ემეუქრება სახელმწიფოებს. მნიშვნელოვანია კიდევ უფრო გამყარდეს ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობები აღნიშნულ ქვეყნებს შორის, რაც დამატებით დაეხმარება საერთო მიზნის განხორციელაბაში, რაც არის ევროინტეგრაცია.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია აშშ-სთან ურთიერთობების გაღრმავება. ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა მიმდინარეიობს ,,ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის" ფარგლებში. აშშ და საქართველო სტარტეგიული პარტნიორობის ქარტიის მიხედვით მოიცავენ ურთიერთობის ოთხ მიმართულებას:

1. ეკონომიკა,ვაჭრობა და ენერგეტიკა;
2. დემოკრატიული მმართველობა და სამოქალაქო საზოგადოება;
3. უსაფრთხოება და თავდაცვა;
4. კულტურული კონტაქტები;

საქართველო ყოველდღიურად აფართოვებს ურთიერთობებს არაბულ სახელმწიფოებთან. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მათთან კიდევ უფრო მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარება. სწორედ აღნიშნულის მისაღწევად მოლაპარაკებები იმართება არაბული სახელმწიფოების ლიგასა და სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოსთან.

საქართველოსთვის პირველი სავაჭრო პარტნიორის როლი ევროკავშირს აკისრია. მართალია ყოველწლიურად იცვლება საქონელ- ბრუნვის მაჩვენებლები, მაგრამ ბოლო წლების მონაცემებით 1 მილიარდი აშშ დოლარს შეადგენს განსხვავება, სხვა სავაჭრო პარტნიორებთან შედარებით. საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ბრუნვა 17.7 პროცენტით გაიზარდა და საქართველოს საერთო სავაჭრო ბრუნვის 26.9 პროცენტი შეადგინა. ექსპორტი გაიზარდა 11.5 პროცენტით და მთლიანი ექსპორტის 21.7 % დაიკავა, რაც შეეხება იმპორტის ცვლილებას გაიზარდა 19.5 %-ით და საქართველოს იმპორტის 28.8 % შეადგინა. [20]

2018 წლის საგარეო ვაჭრობის მონაცემების მიხედვით, ასევე გაიზარდა საქართველოსა და დსთ-ს ქვეყნების სავაჭრო ბრუნვა 25 %-ით და ჯამურად საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 35 %-ს შეადგენს. მათ შორის ექსპორტის რაოდენობა 41.6 %-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტის მოცულობა 16.5 %-ით.[21]

საქართველოს სავაჭრო ბრუნვამ 2018 წელს ასევე 65 %-იან ზრდას მიაღწია. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან, რომლებიც არ არიან ევროკავშირის და დსთ-ს წევრი. ექსპორტის საერთო რაოდენობა 6 %-ით, ხოლო იმპორტი 11 %-ით გაიზრდა.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა რეგიონების მიხედვით 2016-2018 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)

ცხრილი 2.2

წელი	2016	2017	2018
ექსპორტი	2 113.0	2 735.8	3 355.7
ევროპა	951.9	1 283.8	1 451.6
აზია	996.5	1 275.2	1 684.9
ამერიკა	134.1	143.2	198.6
აფრიკა	29.6	32.6	19.3
ოკეანეთი	0.9	1.0	1.3

[20] http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/2018_trade_turnover_2018_12.pdf
საქართველოს საგარეო ვაჭრობა
[21] იქვე

ცხრილი 2.1-ის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ 2016 წლიდან 2018 წლის ჩათვლით ექსპორტის რაოდენობა ყოველწლურად იზრდება რეგიონის ყველა მოთამაშესთან. მხოლოდ 2018 წელს ფიქსირდება ექსპორტის შემცირება აფრიკის რეგიონთან.

ცხრილი 2.3

წელი	2016	2017	2018
იმპორტი	7 294.0	7 943.3	9 136.7
ევროპა	3 442.8	3 570.6	4 109.7
აზია	3 437.7	3 852.7	4 399.6
ამერიკა	387.1	481.7	561.7
აფრიკა	22.2	35.2	47.2
ოკეანეთი	4.1	3.1	18.6

ცხრილი 2.3-ის მიხედვით შეგვიძლია განვსაზღვროთ 2016-2018 წლების დინამიკა იმპორტის კუთხით რეგიონების მიხედვით. როგორც მონაცემები ცხადყოფს იმპორტის რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, მხოლოდ 2017 წლის მონაცემების მიხედვით შემცირდა იმპორტის რაოდენობა ოკეანეთის რეგიონთან, მაგრამ აღნიშნული ვარდნა 2018 წელს დიდი ზრდით ხასიათდება და წინა წლის მონაცამებთან შედარებით თითქმის 6-ჯერ გაიზარდა.[22]

სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებული 2019 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით განვიხილოთ უმსხვილესი იმპორტიორი და ექსპორტიორი სახელმწიფოები.

დიაგრამა 2.1



[22] https://www.geostat.ge/ka საქართველოს საგარეო ვაჭრობა , თბილისი 2019

ნახატი 2.1 გვიჩვენებს 2019 წლის წინასწარი მონაცემებით უმსხვილეს ექსპორტიორ ქვეყნებს, სადაც ლიდერობენ აზერბაიჯანი,რუსეთის ფედერაცია და სომხეთი.

დიაგრამა 2.2



ნახატი 2.2 სტატისტიკურად ასახავს 2019 წლის წინასწარი მონაცემებით უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნების მონაცემებს. იმპორტიორი ქვეყნების ლიდერთა სათავეში არიან: თურქეთი, რუსეთი და ჩინეთი.

ნაშრომის კვლევის პროცესში დადგინდა, რომ საქართველოს 2019 წლის მონაცემებით ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა 66.9 %-ს მიაღწია საქართველოს სავაჭრო ბრუნვაში. სავაჭრო პარტნიორების უმსხვილესი ათეული კი ასე გამოიყურება: თურქეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, ჩინეთი, უკრაინა, სომხეთი, აშშ, გერმანია, ბულგარეთი და რუმინეთი.[23]

დიაგრამა 2.4



[23] https://www.geostat.ge/ka საქართველოს საგარეო ვაჭრობა , თბილისი 2020

2019 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით უმსხვილესი სასაქონლოჯგუფი ექსპორტის და იმპორტის მონაცემების მიხედვით.

დიაგრამა 2.3



დიაგრამა 2.4



ნახატი 2.4-ის მიხედვით ნათლად ჩანს საქართველოს ძირითადი საექსპორტო საქონლის ხუთეული 2014 წლიდან 2019 წლის მონაცემებით: სპილენძის მადნები ყოველწლიურად ზრდით ხასიათდება. ფეროშენადნობების სექტორი შედარებით ცვალებადობით გამოირჩევა, მასთან დაკავშირებით ყოველწიურად განსხვავებულ მონაცემები გვაქვს მოცემული, ხოლო მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი ბოლო სამი წლის განმავლობაში ზრდას განაგრძობს.

დიაგრამა 2.5



დიაგრამა 2.6



ნახატი 2.6 მიხედვით შეგვიძლია განვსაზღვროთ 2014-2019 წლის წინასწარი მონაცემებით საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო საქონლის დინამიკა. სპილენძის მადნები 2014 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად ზრდას განიცდის, ასევეა მსუბუქი ავტომობილების იმპორტი ძირითადად ზრდადია.

2017 წლიდან მოყოლებული დღემდე საქართველოს საგარეო ვაჭრობაში დადებითი ტენდენციაა ასახული. საქართველოსათვის მთავარი გამოწვევა და დასაძლევი პრობლემაა სავაჭრო დეფიციტი. საქართველოს სამ უმსხვილეს

პარტნიორთან სავაჭრო დეფიციტი 2018 წლის მონაცემებით 1 511 მილიონი აშშ დოლარია. ამავე ქვეყნებიდან წვრილი სავაჭრო პოზიციების იმპორტი 1 593 მილიონი აშშ დოლარს შეადგენს. თუ სწორად მივუდგებით აღნიშნულ პროცესს, მაშინ შესაძლებელი იქნება ეს პოტენციალი გაითავისოს მცირე და საშუალო ბიზნესმა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის ბალანსს.

2019 წლის მონაცემებით საგადასახდელო ბალანისის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 227.0 მილიონი აშშ დოლარია. საინტერესეოა ის ფაქტი, რომ 1 კვარტლის მონაცემების მიხედვით მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდო 47.7 პროცენტით შემცირდა. მშპ-სთან თანაფარდობამ კი 6.2 % შეადგინა.

მიმდინარე ანგარიშის განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი საქონლით ვაჭრობა აღმოჩნდა, რომელიც 18.9 %-ით შემცირდა. მომსახურებით ვაჭრობის დადებითმა ბალანსმა ნაწილობრივ დააბალანსა საქონლით ვაჭრობის უარყოფითი სალდო. აღსანიშნავია, რომ მომსახურების ექსპორტის 3.4 %-ით, ხოლო იმპორტის 10.4 %-ით გაიზარდა. [24]

2.2. საქართველოში მოქმედი სავაჭრო რეჟიმები და საერთაშორისო ხელშეკრულებები

საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში თავის დამკვიდრებისათვის, საჭიროა სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივ-მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობების, პრეფერენციული და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების განვითრება. ქვეყანაში მოქმედებს სხვადასხვა სავაჭრო რეჟიმები და საერთაშორისო ხელშეკრულებები.

საქართველო არის მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის წევრი 2000 წლის 14 ივნისიდან. სწორედ მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის ფარგლებში ჩამოყალიბდა გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ, რომლის ერთ ერთი პუნქტია უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი.შესაბამისად საქართველო ვმო-ს წევრ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებს ახორციელებს ,,უპირატესი ხელსეწყობის რეჟიმი"-ის (MFN) საფუძველზე.

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის თანახმად, ნებისმიერი მონაწილე მხარე თუ ანიჭებს რაიმე სახის პრივილეგიას პროდუქციას, რომლის წარმოშობის ან

[24] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2 საქართველოს საგადასახდელო ბალანსი, 2019 წელი

დანიშნულების მხარე არის მესამე ქვეყანა, ავტომატურად მან უნდა ასარგებლოს იგივე უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით შეთანხმების სხვა მხარეებიც. შეზღუდულია რა შემთხვევაში არ შეიძლება დამყარდეს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი:

- თუ მოკავშირეების მიზანს წარმოადგენს საბაჟო კავშირის ან თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა;
- თუ პრივილეგიები ითვალისწინებს მოსაზღვრე ქვეყნებს შორის სასაზღვრო ვაჭრობის წახალისებას;

➢ **პრეფერენციათა განზოგადებეული სისტემა (GSP)**

პრეფერენციების განზოგადებული სისტემის არსი, შემდეგში მდგომარეობს, ბენეფიციარი სახელმწიფოების მხრიდან იმპორტირებულ საქონელზე ხდება საბაზო საიმპორტო ტარიფის შემცირებული განაკვეთების მიჭება. მისი მიზანია ხელი შეუწყოს განვითარებული ქვეყნების ბაზარზე შეღწევას. [25]

აღნიშნული სისტემის საფუძველია 70-იან წლებში გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია. საქართველო GSP-ის ბენეფიციარის სტატუსით სარგებლობს: ევროკავშირი, შვეიცარია, ჩეხეთი, კანადა, იაპონია, სლოვაკეთი, აშშ, პოლონეთი, თურქეთსა და ესტონეთთან.

GSP-ის განხორციელების სამი სქემა არსებობს: ევროკავშირი, იაპონია და ამერიკის შეერთებული შტატები. სხვა სახელმწიფოები აღნიშნული სქემიდან ერთ-ერთს იყენებენ და ხშირად შეაქვთ ცვლილებები, თავიაანთი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით.

შეღავათები ვრცელდება სოფლის მეურნეობის ექსპორტირებულ პროდუქციაზე, რომელსაც ექნება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გაცემული GSP-ის სერტიფიკატი A(იგივე წარმოშობის სერტიფიკატი), რომელიც ადასტურებს საქონლის წარმოშობას.

საქართველოს სავაჭრო პარტნიორებთან შეღავათიანი რეჟიმებით მიღებული უპირატესობები, სრულად არ არის გამოყენებული, რის გამოც საქართველოს საექსპორტო პროდუქცია სრულად არ მოიცავს დონორი ქვეყნების ბაზარს.

➢ **თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი**

[25] http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12

თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის არსია შეთანხმების მინაწილე ქვეყნებს შორის გაუქმებული საბაჟო-საიმპორტო გადასახადები, თუ დამატებით არ არსებობს ურთიერთშეთანხმებული გამონაკლისები.

საქართველო თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ფარგლებში თანამშრომლობს დსთ-ში შემავალ ყველა სახელმწიფოსთან, ევროკავშირსა და თურქეთთან. ასევე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცასთან.

- **მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ**

საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი დსთ-ს ქვეყნებთან რეგულირდება ,,თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ" დსთ-ს 1994 წლის მრავალმხრივი შეთანხმებით. გამონაკლისს წარმოადგენს საქართველო რუსეთის ურთიერთობა. აღნიშნული ხელშეკრულების წევრები ვალდებულნი არიან:

- დანერგონ საბაზრო ეკონომიკის პრინციპები;
- ჩამოაყალიბონ საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილების პირობები;
- იმუშაონ მოსახლეობის ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად;
- იმუშაონ ერთგულად ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის თავისუფალი განვითარებისათვის;[26]

საქართველოს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები აქვს რამოდენიმე ქვეყანასთან:

1. რუსეთის ფედერაცია, რომელთანაც შეთანხმება ძალაშია 1994 წლის 10 მაისიდან;
2. აზერბაიჯანი; შეთანხმება გაფორმებულია 1996 წლის 10 ივლისს;
3. სომხეთი; ხელშეკრულება გაფორმდა 1995 წლის 14 აგვისტოს;
4. უკრაინა; შეთანხმება ხელმოწერილია 1995 წლის იანვარში;
5. მოლდოვა; 1996 წლის 20 მარტიდან მოქმედი რეჟიმი;

საქართველოს ასევე თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ქვეყნებთან: ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი და თურქეთი.

---

[26] http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/shetanxmeba-1994.pdf , შეთანხმება თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ

თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმში საქართველოს თურქეთსა და რუსეთის ფედერაციასთან აქვს გამონაკლისი თავისუფალი სავაჭრო რეჟიმიდან რამოდენიმე სახის პროდუქციის ამოღების შესახებ.

მაგალითად, საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში შემავალი პროდუქტები, რომლებიც ექვემდებარება თავისუფალი რეჟიმიდან ამოღებას:

ცხრილი 2.5

კოდი სნ სეს დსთ	საქონლის დასახელება
1701 99 100	შაქარი თეთრი
2207	არადენატურირებული ეთილის სპირტი. არანაკლები 80% სპირტის კონცენტრაციით; ეთილის სპირტი და ნებისმიერი კონცენტრაციის დენატურირებული სხვა სპირტები
220890910 220890990	არადენატურირებული ეთილის სპირტი. 80%–ზე ნაკლები სპირტის კონცენტრაციით; ჭურჭლის მოცულობით: 2ლ. და ნაკლები; 2ლ–ზე მეტი
2402	სიგარები, ბოლოებმოჭრილი სიგარები, სიგარილები (წვრილი სიგარები) და თამბაქოს ან მისი შემცვლელებისაგან დამზადებული სიგარეტები[27]

- **ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ შეთანხმება (DCFTA)**

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, მოიცავს ევროკავშირთან ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას ეხმარება ეტაპობრივად ეკონომიკური ინტეგრაცია მოახდინონ ევროკავშირის ბაზართან. იგი ამოქმედდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან.

აღნიშნული შეთანხმების ამოქმედებამდე საქართველომ გაიარა დიდი გზა. მოლაპარაკებები ოფიციალურად დაიწყო 2011 წლის დეკემბერში და იგი დასრულდა 2013 წლის ივლისში. 2013 წლის ნოემბრიდან მოხდა ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება.

2018 წლის 20 მარტს გაიმართა საბაჟო ქვეკომიტეტის შეხვედრა ბრიუსელში, სადაც ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის შეთანხმებას ,, საქონლის წარმოშობის" ცნების განსაზღვრისა და ადმინისტრაციული

[27] http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/danarti-1.pdf

თანამშრომლობის მეთოდების წესების შესახებ ოქმის ჩანაცვლებას პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის წესების კონვენციის შესაბამისად.

DCFTA მოიცავს, როგორც საქონლით ასევე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მისი მიზანია საქართველოს ვაჭრობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დაახლოება, ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან.

ევროკავშირს აქვს შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლება და საქართველოს ამ შეთახმებით საშუალება მიეცა ისარგებლოს ეტაპობრივად სამი მათგანით: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადილება. მე-4 თავისუფლებას მიეკუთვნება ადამიანის თავისუფალი გადაადგილება, რომელსაც ხელს უწყობს ვიზალიბერალიზაციის პროცესი.

DCFTA ამოქმედებამ, საქართველოს საშუალება მისცა მსოფლიოს უმსხვილეს ბაზარზე შეღწევის, რომელიც დღეს 28 ქვეყანას აერთიანებს თავისი მრავალრიცხოვანი მომხმარებლებით. შეთანხმების ამოქმედებისთანავე საქართველოდან ექსპორტი ევროკავშირში 12 %-ით გაიზარდა 6 თვის განმავლობაში. სამომავლო პროგნოზით თუ დასრულდება შესაბამისი რეფორმები, DCFTA 4.3 %-ით გზარდის მშპ-ს ყოველწლიურად.[28]

- **თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის**

საქართველო-ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას ხელი 2017 წლის 13 მაისს მოეწერა. იმის მიუხედავად, რომ საქართველოსა და ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობა ჯერ კიდევ ,,აბრეშუმის გზის" პერიოდიდან იღებს სათავეს. ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებაზე 2015 წლის დეკემბერში დაიწყეს მოლაპარაკებები.

ბოლო პერიოდში ჩინეთსა და საქართველოს შორის ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები ზრდის ტემპით გამოირჩეოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო რამოდენიმე წელია ჩინეთი საქართველოსთვის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, როგორც ექსპორტის ისევე იმპორტის კუთხით. ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის

[28] http://www.parliament.ge/uploads/other/22/22580.pdf

შესახებ შეთანხმების ამოქმედების შემდეგ კი უფრო გაღრმავდა ორ ქვეყანას შორის სავაჭრო კავშირები, რაც თავისთავად აისახა სტატისტიკურ მონაცემებში.

ჩინეთის ბაზარი უდიდესია საქართველოსათვის, რომელიც დაახლოებით 1.4 მილიარდ მომხმარებელს აერთიანებს.შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ საქართველოდან იმპორტირებული პროდუქციის დაახლოებით 94 % გათავისუფლდა საბაჟო გადასახადებისგან.[29]

ევრაზიის რეგიონში საქართველო პირველი ქვეყანაა, რომელიც სარგებლობს ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით. აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება საქართველოს ასევე გზას უხსნის ჩინეთის ახალი ინიციატივისაკენ, რომელის სახელწოდებაა ,,ერთი სარტყელი, ერთი გზის".

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევა მოხდა საქართველოსა და ჩინეთის რესპუბლიკას შორის. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები საქართველოში ,,ახალი ოთხი დიდი გამოგონების'' დასანერგად.

2016 წლის 27 ივნისს საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას შორის ხელი მოეწერა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას. 2 017 წელს მოხდა ნორვეგიასა და ისლანდიასთან შეთანხმების გაფორმება, ხოლო 2018 წლის მაისიდან შვეიცარია და ლიხტენშტეინი შეუერთდა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას.

➢ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმებები

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. საქართვეოში მოქმედებს ვმო-ს შეთანხმებები.

გენერელური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ (GATT). შეთანხმება, რომელიც ძალაშია 1994 წლიდან მისი მიზანია ვაჭრობის ლიბერალიზაცია. ლიბერალიზაციის მიღწევა ხდება სავაჭრო ბარიერების შემცირებით და პროტექციონისტული ტარიფების დაწევით. სავაჭრო ურთიერთობები უნდა იყოს მოსახლეობის ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად მიმართული და საერთაშორისო კომერციაში დისკრიმინაციის გაუქმებისკენ.

[29] http://mfa.gov.ge/News/saqartvelosa-da-chinets-shoris-tavisufali-vachrobi.aspx?CatID=5

გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ (GATS). აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს მრავალმხრივ დონეზე შეთანხმებული სავაჭრო წესებისა და ნორმების კრებული, რომელიც არეგულირებს და წარმართავს მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობას.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS), შეთანხმება აწესებს მოთხოვნებს, რომლებიც სახელმწიფოებმა უნდა შეასრულონ ინტლექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობის დროს. ასევე უნდა უზრუნველყონ ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ჩამოყალიბებულმა ნორმებმა ხელი არ შეუშალოს კანონიერ ვაჭრობას.

ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ (TBT). შეთანხმების ყველა წევრი ვალდებულია განახორციელოს ისეთი რეულაციები, რომ არ შეიქმნას საერთაშორისო ვაჭრობაში ზედმეტი დაბრკოლებები ისეთი ტექნიკური რეგლამენტების გამოყენების დროს,როგორებიცაა :შეფუთვა, მარკირება, ეტიკეტრება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანისას.

სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების გამოყენების შესახებ (SPS) შეთანხმებით რეგულირდება საქონლის იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის განხმორციელება, ისე რომ აღნიშნულმა ღონისძიებებმა ხელი არ შეუშალოს ადამიანის ჯანმრთელობას, ცხოველებისა და მცენარეების დაცვას. მონაწილე წევრები მაქსიმალურად ცდილობენ შეამცირონ ნეგატიური ზემოქმედება საერთაშორისო ვაჭრობაზე, რომლებიც სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების მიღებით არის განპირობებული.[30]

[30] http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12 საქართველოში მოქმედი სავაჭრო რეჟიმები და საერთაშორისო ხელშეკრულებები

თავი III. საქართველოს საგარეო ვაჭრობის პერსპექტივები

3.1. ახალი სავაჭრო კავშირების გავლენა საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე

საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს, ქვეყანა ყოველწლიურად ატარებს მონიტორინგს საექსპორტო და საიმპორტო მონაცემების. საგარეო ვაჭრობის განვითარებას ხელს უწყობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები და ასევე ორმხივი და მრავალმხრივი კავშირები სხვადასხვა სახელმწიფოებთან.

დღესდღეობით, ნებისმიერი ქვეყანა აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებებში და ისინი ცდილობენ ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესებას საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით. მათი მიზანია სავაჭრო ბარიერების შემცირება, რომ ეროვნული პროდუქცია გახდეს კონკურენტუნარიანი საერთაშორისო ბაზარზე.

საქართველოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებამ უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნის საგარეო სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაში. ვმო-ს წევრი საქართველო 2000 წლიდანაა. ვმო-ში გაწევრიანების პროცესი დაახლოებით სამ წელს გაგრძელდა, რომლის ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა შეხვედრები, რომლის მიზანი იყო სტარიფო განაკვეთების შეთანხმება და 5 წლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვით დაევალა საქართველოს საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრა.

საქართველომ ვმო-ში გაწევრიანებით იკისრა ვალდებულება ოქმით განსაზღვრული პირობების შესრულებაზე როგორებიცაა:

- საქართველოს ბმული ტარიფების ცხრილები;
- მიერთების მუშა ჯგუფის ანგარიში;
- მომსახურებით ვაჭრობის სფეროში სპეციფიკურ ვალდებულებათაცხრილი;

გაწევრიანების შემდეგ გახდა საჭირო, საკანონმდებლო ორგანოს ცვლილებები შეეტანა არსებულ სატარიფო რეგულაციებში და მომზადდა კანონი ,, საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე''. ამასთანავე ძალაში შევიდა სხვადასხვა საკაკონმდებლო ცვლილება, რომელმაც უზრუნველყო საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ვმო-ს მოთხოვნების შესაბამისად.

ვმო-ზე მოდის მსოფლიო ვაჭრობის 95 %-ზე მეტი, რამაც შესაბამისად საქართველოს გაუხსნა ახალი ბაზარი განახლებული შესაძლებლობებით:

საქართველო ამჟამად 176 ქვეყანასთან თანამშრომლობს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით, რაც აისახება იმაში, რომ საქართველოდან იმპორტირებული საქონელი ბაზარზე მიიღებს თანაბარ ხელშეწყობას, ასევე მოხდა საიმპორტო ტარიფების შემცირება წევრი ქვეყნებისგან.

საქართველოს ვმო-ში გაწევრიანებით მიიღო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საშუალება, რაც შემდგომში მოგვცემს საშუალებას საქართველო გარდაიქმნას მთავარ საინვსეტიციო ხიდად, იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც მზად არიან წარმოება განახორციელონ საქართველოში და მათ აქვთ გარანტია, რომ წარმოებული პროდუქცია ბაზარზე დაიშვება უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით.

საქართველოს გაუჩნდა შესაძლებლობა მოლაპარაკებების საშუალებით ვმო-ს წევრ ქვეყნებთან დაიცვას საკუთარი ეკნომიკური ინტერესები და მოახდინოს მათი განვითარება.

საქართველომ მიიღო საშუალება პრეფერენციათა განზოგადებულ სისტემაში მუშაობის. GSP-ის საშუალებით საქართველომ მიიღო ბენეფიციარი ქვეყნებისგან საიმპორტო ტარიფის მცირე განაკვეთები, რამაც ხელი შეუწო ექსპორტის განვითარებას და ხელსაყრელ პირობებში საქართველომ მოახერხა განვითარებული ქვეყნების ბაზარზე შეღწევა, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის საფუძველია ,,პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შესახებ შეთანხმება'', რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში. 2014 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება. აღნიშნული შეთანხმების გაფორმებით საქართველომ მიიღო შესაძლებლობა 500 მილიონიან სამომხმარებლო ბაზარზე შეღწევის. ეტაპობრივად საქართველოს აკისრია ვალდებულება საკანონმდებლო ცვლილებები გაატაროს, ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზასთან დასაკავშირებლად.

თავისუფალი ვაჭრობის ხელსეკრულება მოიცავს შემდეგ თავებს:

1. საქონლით ვაჭრობა;

2. ვაჭრობაში დაცვითი სიტემების არსებობა;
3. ფიტოსანიტარული და სანიტარული ზომები;
4. ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში;
5. ვაჭრობისა და საბაჟოს ხელსეწყობა;
6. დაფუძნება,ელექტრონული კომერცია და მომსახურებით ვაჭრობა;
7. კონკურენცია;
8. მიმდინარე გადახდები და კაპიტალის მოძრაობა;
9. საჯარო შესყიდვები;
10. გამჭირვალობა,
11. ინტელექტუალური საკუთრების უფლება;
12. ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკაში;
13. ვაჭრობა და მდგრადი განვითარება;
14. დავების მოგვარება;
15. დაახლოების ზოგადი დებულებები;

აღსანიშნავია DCFTA-ს ფარგლებში საქართველომ მიიღო შესაძლებლობა თუ ქართული წარმოშობის პროდუქტი დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, მაშინ ნულოვანი საბაჟო ტარიფით შეძლებენ ევროკავშირის ბაზარზე შესვლას. გამონაკლისის სახით ნიორზე არის კვოტა დაწესებული, საქართველოს ევროკავშირის ბაზარზე საბაჟო გადასახადის გარეშე შეუძლია 220 ტონა ნივრის ექსპორტი, აღნიშნული რეგულაცია არ წარმოადგენს პრობლემას, რადგან ნიორი ხშირად ადგილობრივ ბაზარს ვერ აკმაყოფილებს და დეფიციტის შესავსებად საჭიროა ნიორის შემოტანა.

როგორც უკვე, ავღნიშნეთ საქართველოსთვის DCFTA-ს ამოქმედებამ საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე დადებითი გავლენა მოახდინა. საქართველო ევროკავშირს შორის საგარეო ვაჭრობის მონაცემები ყოველწლიურად ზრდის ტენდენციით ხასითდება შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ.

2018 წლის მონაცემების მიხედვით საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორია ევროკავშირი, რომლის წილიც 27%-ამდე მერყეობს, ხოლო ევროკავშირის ვაჭრობა საქართველოსთან მთლიანი ვაჭრობის 0.1 %-ის ტოლია.

ექსპორტი საქართველოში 2.1 მილიარდი ევროს, ხოლო იმპორტირებული საქონლის ღირებულება 653 მილიონი ევროს ტოლია.[31]

ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავებამ საქართველოს მისცა შესაძლებლობა გაძლიერდეს და თავისი ადგილი დაიკავოს მსოფლიო ეკონომიკაში, აღნიშნულმა შეთანმებამ ევროკავშირის გარდა გამარტივებული ვაჭრობის შესაძლებლობა მისცა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავჭრო სივრცის შეთანხმება, საქართველოს ხელს არ უშლის სხვა ქვეყნებთან გაფორმებულ ორმხივ და მრავავალმხრივი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებს და პირიქით ხელშემწყობია სხვა ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავების. რა თქმა უნდა, დაიწყო რეფორმები საქართველომ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებეის შესასრულებლად. ევროკავშირის სურვილია საქართველოში ვაჭრობის ხელშესაწყობად გამოყოს გრანტის სახით 101 მილიონი ევრო, რის საშუალებითაც საქართველოს საშუალებას მიცემს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების. ასევე დაფინასდება მცირე და საშუალო საწარმოები, რაც უზრუნველყოფს ადგილობრივი წარმოების განვითარებას და საექსპორტო პროდუქციის დამკვიდრებას საერთაშორისო კონკურენტულ ბაზარზე. საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ბრუნვა, რომ მზარდია თვალსაჩონოების სახით შეგვიძლია დავადასტუროთ ცხრილი 3.1-ის მიხედვით:

საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ბრუნვის დინამიკა 2016-2018 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)

ცხრილი 3.1



[31] https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/49071/node/49071_ka საქართველო და ევროკავშირი, 2018 წელი

მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საგარეო ვაჭრობის განვითარებაში საქართველოსა და ჩინეთს შორის შეთანხმებამ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელიც მოქმედებს 2018 წლის 1 იანვრიდან. საქართველო რეგიონის მასშტაბით პირველი ქვეყანაა, რომელსაც ევროკავშირთან და ჩინეთთან ერთდროულად აქვს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ გაფორმებული შეთანხმება. ბოლო რამდენიმე წელია ჩინეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, რაზეც თავისთავად კიდევ უფრო დიდი გავლენა იქონია თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებამ.საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციის თითქმის 94 % გათავისუფლდა საბაჟო გადასახადებისგან. ჩინეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, რომელსაც ბოლო წლებში მტკიცედ უჭირავს რიგით მე-3 და მე-4 ადგილი იმპორტისა და ექსპორტის წლიური მონაცემების მიხედვით. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების შემდეგ განსაკუთრებით გაიზარდა ექსპორტი შემდეგ პროდუქციაზე: ღვინო, სპირტიანი სასმელები და მინერალური წყლები.

საქართველოს ჩინეთთან გაფორმებულმა შეთანხმებამ, საგარეო ვაჭრობის ახალი პერპექტივა გაუხსნა, როგორც უკვე ავღნიშმეთ ,, ერთი სარტყელი, ერთი გზის'' ფარგლებში. ახალ ინიციატივაში მსოფლიოს ასამდე სახელმწიფოა გაერთიანებული. ინიციატივის მხარდამჭერი მხარეები ურთიერთობებს ავითარებენ ხუთი სხვადასხვა მიმართულებით: პოლიტიკური კორდინაცია; ვაჭრობა ბარიერების გარეშე; ინფრასტრუქტურული კავშირები; ფინანსების ბრუნვა და ხალხთაშორისი კავშირი. საქართველოს მნიშვნელოვანი როლი აკისრია, აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში შეასრულოს სატრანსპორტო და სატრანზიტო დერეფნის როლი, რომლის გამოძახილია თბილისში ჩატარებული აბრეშუმის გზის ფორუმი.

საქართველოსთვის ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის დამყარებას, ხელი შეუწყო ქვეყნებს შორის ურთიერთობები სხვა კუთხითაც განვითარებულიყო, რისი ნათელი მაგალითია ჩინეთის მხრიდან შავი ზღვის სანაპიროზე სოფლის მეურნეობის ისეთი კულტურების წარმოება, როგორებიცაა: ჩაი, ტუნგი და ციტრუსი.

მართალია საქართველო ამჟამად არ არის დსთ წევრი ქვეყანა, მაგრამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დსთ-მ საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარებაში. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ დსთ-ს წევრი ქვეყნები: აზერბაიჯანი და რუსეთი, არიან საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებიდან. საქართველომ დსთ-ში ყოფნის პერიოდში მოაწერა ხელი 113 მრავალმხრივ ხელშეკრულებას. მართალია საქართველოს დსთ დატოვა 2009 წლის აგვისტოდან, მაგრამ იგი დარჩა მრავალმხრივი ეკონომიკური შეთანხმების წევრი.მათი საგარეო სავაჭრო ბრუნვა მზარდია, რაც ასახული 3.2 ცხრილში:

საქართველო-დსთ-ს სავაჭრო ბრუნვა 2016-2018 წლები (მლნ. აშშ დოლარი)

ცხრილი 3.2



საქართველოს წამყვანი სავაჭრო პარტნიორების როლი მეზობელ სახელმწოფოებს უჭირავთ, რაც ნაწილობრივ განპირობებულია ძველი სავაჭრო ურთიერთობებით აღნიშნულ ქვეყნებთან. ქართული პროდუქცია ცნობადია აღნიშულ ბაზრებზე, რაც თავისთავად მოთხოვნილებას ზრდის. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმებამ მეზობელ ქვეყნებთან კიდევ უფრო გააფართოვა საგარეო სავაჭრო ურთიერთობები და ხელი შეუწყო ქართული წარმოების პროდუქციის გატანას შემცირებული სავაჭრო ტარიფების პირობებში.

ბოლო პერიოდის მონაცემების გაანალიზებამ ნათლად დაგვანა, რომ საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი. იმის მიუხედავად, რომ ქვეყენაში მოქმედმა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა დადებითი როლი შეასრულეს ქვეყნის საგარეო ვაჭრობის განვითარებაში, მაინც იკვეთება რიგი პრობლემები, რაც

განპირობებულია ქვეყანაში ახალი ეკონომიკური სიტვაციის ჩამოყალიბებით. ადგილობრივი პროდუქცია რიგ შემთხვევებში, ვერ აკმაყოფილებს ბაზარს, რის გამოც საქართველო დამოკიდებულია იმპორტზე. სწორედ საერთაშორისო სავაჭრო კავშირების ზეგავლენაა, ბოლო პერიოდში მზარდი დინამიკა. საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციებში გაწევრიანებამ ამოატრიალა ქვეყნის შიდა სტანდარტები და აქტიურად მიმდინარეობს საკანონმდებლო ცვლილებები, რომ თანხვედრაში მოვიდეს ქვეყნის სავაჭრო რეჟიმები საერთაშორისო ორგანიზაციების სტანდარტებთან. სწორედ აღნიშნულის არეგულირებს კანონი ,, საბაჟო ტარიფებისა და გადასახადენის შესახებ''. სახელმწიფო გააჩნია საგარეო ვაჭრობის რეგულირების ყველაზე გავრცელებული ფორმა საბაჟო ტარიფების სახით, სწორედ საბაჟო ტარიფები გადაიხედა ქვეყენაში საერთაშორისო სავაჭრო კავშირებთან შეთანხმებების გაფორმების შემდეგ.

დღესდღეობით არსებულმა სავაჭრო კავშირებმა იქონიეს გავლენა, საქართველოს ეკონომიკის შედარებით გაჯანსაღებაში. დღეს საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს აქვს შანსი ნაყოფიერად გამოიყენოს აღნიშნული შესაძლებლობები, დაიკავოს თავისი ადგილი საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში და კიდევ უფრო გაზარდოს ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა.

3.2. მოსალოდნელი შედეგების ანალიზი

საქართველომ დამოკიდებლობის მოპოვებისთანავე მიუხედავად მისი გამოუცდებობისა საერთაშორისო ურთიერთობებში დაიწყო აქტიური მუშაობა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ასამაღლებლად. საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე დიდი პოტენციალის მატარებელია. საქართველო თავისი პოლიტიკური მდომარეობის მიუხედავად ყოველთვის ამყარებდა სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებს ქვეყნებს შორის. მას შეუძლია შეასრულოს სატრანსპორტო დერეფნის როლი, ერთმანეთთან დაკავშიროს როგორც ცენტრალური აზიის ქვეყნები, ასევე დაეხმაროს იაპონიასა და ირანს საქონელბრუნვაში, მაგრამ დღესდღეობით საჭიროა ქვეყენამ გამართოს სატრანსპორტო მიმოსვლის გზები, მათ შორის: რკინიგზის მოდერნიზება და საზღვაო პორტის მშენებლობა, რაც თავისთავად გაზრდის მომავალში ტვირთბრუნვას. საქართველო ერთადერთი ქვეყანა შავი ზღვის სივრცეში,

რომელსაც არ აქვს სარგებოლობაში ღრმაწყლოვანი პორტი. აღნიშნული კომუნიკაციების განვითარება ხელს შეუწყოს საგარეო ვაჭრობის ზრდას, მათ შორის მოზიდული იქნება ახალი ინვესტიციები, რაც საქართველოს დაეხმარება ექსპორტიორ ქვეყნად ჩამოყალიბებაში.

საქართველო დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ აქტიურად ჩაერთო სავაჭრო ურთიერთობების მოგვარებაში მათ შორის ევროკავშირთან. საქართველომ თანდათან შეიცვალა კურსი და ევროინტეგრაცია მთავარი მიზანი გახდა. ევროკავშირთან ურთიერთობების გამყარების შედეგია 2014 წლიდან მოქმედი ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ზონის შესახებ შეთანხმება. შეთანმხების ძალაში შესვლის შემდეგ საქართველოსთვის მოსალოდნელი შედეგებმა მრავალმხრივი სახე მიიღო. ქვეყანამ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის გარდა მიიღო შესაძლებლობა ახალი ინვესტიციების სახით, რაც განაპირობებს ეკონომიკის მომავალ განვიტარებას.

რას ველოდით DCFTA-დან? შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ დადებითი გავლენა აისახა ევროკავშირთან სავაჭრო ბრუნვის მოცულობაში, რომელიც ყოველწლიურად იზრდება. სამომავლო პროგნოზების მიხედვით გრძელვადიან პერიოდში საქართველოს ეროვნული შემოსავალი გაიზრდება 292 მილიონ ევროს მიაღწევს, მშპ 4.3 %-ით გაიზრდება, ხოლო ექსპორტის და იმპორტის მონაცემები 12 და 7.5 %-ით. სამომხარებლო ფასის ინდექსის კლება 0.6 %-ით არის დაანონსებული.[32]

საქართველომ ევროკავშირისგან მიღებული მითითებების საფუძველზე დანერგა სურსათის უვნებლობის სტრატეგია. სურსათის უნვებლობის შემოწმება მოხდება სახელმწიფოს მხრიდან, პირველ რიგში უმნიშველოვანესია სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება. დღეს სურსათის უვნებლობის პარამეტერების დადგენასა და დაცვაში ძირითადი როლი აკისრიათ შემდეგ სახელმწიფო ორგანოებს: სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შრომის ჯანმრთელობისა და სპორტის სამინისტრო და სსიპ შემოსავლების სამსახური. ქვეყანაში უკვე

[32] https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2015/2015_2/statia3.pdf ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში: გზა შოკური თერაპიიდან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონამდე

ფუნქციონირებს კერძო და სახელმწიფო ლაბორატორიები, სადაც ხდება კვლევა სურსათის შესაბამისი სტანდარტების დასადგენად. სოფლის მეურნეობის განახლებულმა სტანდარტებმა უზრუნველყო ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება საქართველოში. ბოლო პერიოდის მონაცემების მიხედვით სოფლის მეურნეობის პროდუქტების წილმა საგარეო ვაჭრობაში მნიშვნელოვნად მოიმატა თითქმის ყველა სავაჭრო პარტნიორთან.

ევროკავშირთან ექსპორტის ზრდა ნაწილობრივ დამოკიდებულია ღვინის ექსპორტის გაზრდით წევრ სახელმწიფოებთან. ღვინის ექსპორტმა საქართველოდან 2018 წლის მონაცემებით მოიმატა 24%-ით და ჯამში 18.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ძირითადი საექსპორტო ქვეყნების მონაცემები კი შემდეგნაირად გადანაწილდა: (მოცემულია ცხრილში 3.3)

ცხრილი 3.3

პოლონეთი	ლატვია	გერმანია	ესტონეთი	ლიტვა	ნიდერლანდები
42 %	21 %	8 %	8 %	6 %	2.4 %

ექსპორტის რაოდენობა გაიზარდა პოლონეთსა და ლატვიაში, ხოლო ექსპორტის მონაცემები შემცირდა ნიდერლანდებსა და გერმანიაში.[33]

ანალოგიურად ზრდა არის დსთ-ს წევრს ქვეყნებსა და სხვა სახელმწიფოებთან ღვინის ექსპორტი. დსთ-ს წევრ ქვეყნებთან ექსპორტი 16 %-ით, ხოლო სხვა სახელმწიფოებთან 3 %-ით გაიზრდა. [34]

საქართველო ფოკუსირებული არ არის საგარეო ვაჭრობაში კონკრეტული მიმართულებებით. ბოლო მონაცემების მიხედვით ქართველი მეწარმეები ცდილობენ წარმოება გააფართოონ სხვადასხვა მიმართულებებით, რაც ქვეყენას საშუალებას მისცემს საერთაშორისო ბაზარზე წარდგეს ფართო ასორტიმენტით. მართალია ბოლო ათწლეულის განმავლობაში ექსპორტის მოცულობა 5.2 ჯერ გაიზარდა, მაგრამ ექსპორტის დივერსიფიკაცია დაბალი მაჩვენებლითაა გამოხატული, როგორც ექსპორტიორი ქვეყნების ასევე პროდუქციის ჭრილში.

[33] http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/2018_trade_turnover_2018_12.pdf
საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2018 წელი
[34] იქვე

საქართველოს ჯერ კიდევ დიდ გზა აქვს გასავლელი საერთაშორისო ბაზარზე სრული ინტერგრაციისათვის. საჭიროა კიდევ უფრო შემცირება ვაჭრობაში არსებულ ტექნიკური ბარიერების. ქვეყანაში მოქმედ ექსპორტიორებს ხელს შეუწყობს ექსპორტორთა ინტერესების დაცვის ცენტრი, რომელიც მოიძიებს არსებულ რობელემს და ექსპორტიორებს დაეხმარება საერთაშორისო ბაზარზე თავის დამკვიდრებაში.

გატარებული ღონისძიებების მთავარი მოსალოდენლი შედეგია ექსპორტის როლის ზრდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. სამომავლო მიზნები კი ასე გამოიყურება ექსპორტის ზრდის ხელშეწყობისათვის:

ცხრილი 3.4

მაჩვენებელი	საბაზისო	2017	2020
ექსპორტი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით %	45	55	65
საქონლის ექსპორტის წილი მშპ-სთან მიმართებით %	18	22	30
ვაჭრობის შესაძლებლობის ინდექსი (Enabling Trade Index 2012)	38	30	25

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ჩინეთის როლი საქართველოს საგარეო ვაჭრობის პერსპექტივის განვითარებაში, როგორც უკვე ავღნიშნეთ ნაშრომში საქართველო ჩინეთს შორის სავაჭრო ურთიერთობები ყოველწლიურად იზრდება. ჩინეთი თანამედროვე მსოფლიოში უდიდესი როლის მატარებელია, მსოფლიო ბანკის მონაცმების მიხედვით მათი მშპ 11.2 ტრლნ აშშ დოლარია. ჩინეთის საერთაშორისო ვაჭრობაში, როგორც ექსპორტის ასევე იმპორტის კუთხით წამყვანი ადგილი უკავია. იგი 2018 წლის მონაცემებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა ექსპორტის და მე-2 ადგილზე იმპორტის რაოდენობით.[35]

საქართველოსა და ჩინეთს შორის ურთიერთობა, მრავალ წელს ითვლის. ჩინეთი იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, რამაც საფუძველი ჩაუყარა სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას. თუ განვიხილავთ საქართველო- ჩინეთის სავაჭრო ურთიერთოებეს

[35] https://www.wto.org/english/res_e/statis_e/wts2019_e/wts2019_e.pdf , World Trade Statistical Review 2019

საქსტატის მონაცემებით დგინდება, რომ 1996 წელს ორ ქვეყანას, შორის სავაჭრო ბრუნვა 10.7 მლნ. აშშ დოლარიდან 2018 წლის ჩათვლით გაიზარდა 1 032 მლნ აშშ დოლარამდე. საქართველო-ჩინეთს შორის გაფორმებულმა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებამ თავისი წვლილი შეიტანა სავაჭრო ბრუნვის ზრდაში, რასაც კიდევ უფრო მზარდი ტენდენცია აქვს და თუ სამომავლო პერსპექტივებით გავითვალისწინებთ ახლო მომავალში ჩინეთი გახდება რიგით მეორე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი საქართველოსათვის. ჩინეთ საქართველოს სავაჭრო ურთიერთოებების განვითარებასთან ერთად დიდი ინტერესით სარგებლოს ქართული ღვინის წარმოება ჩინეთში. განსაკუთრებით პრიორიტეტული საექსპორტო პროდუქტებია: ღვინო, სპირტიანი სასმელები, მინერალური წყლები და ლუდი.

საქართველო - ჩინეთის ურთიერთობებზე საუბრისას არუნდა დაგვავიწყდეს თუ რა რისკის შემცველია თუ საქართველოში ჩინური პროდუქცია უპირატეს პირობებში იქნება, ამით შეიძლება დაიკარგოს უცხოელი ინვესტორების ჯგუფი, რომელსაც აშინებს კონკურენციაში ჩაბმა, რადგან სატრანსპორტო ხარჯების მიუხედავად ჩინური საქონელი ბაზარზე შესაძლოა უფრო მოთხოვნადი იყოს ფასიდან გამომდინარე. ქართული მხარის მოვალეობაა, სავაჭრო მაჩვენებლების გაზრდისათვის შეძლოს ჩინეთის ცაკლეული პროვინციებში გაზარდოს ქართული პროდუქციის ცნობადობა, რადგან ჩინეთის ბაზარი არის მსოფლიოში უმსხვილესი და ამსთან ერთად მნიშვნელოვანი ყველა პროვინციასთან ინდივიდუალური მინდომა, რომ საქართველომ რაციონალურად გამოიყენოს მინიჭებული პრივილეგია, რომელიც ისახება ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის სახით.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობების შესწავლისას ნათელი გახდა საქართველოს სავაჭრო კავშირების კიდევ უფრო გაღრმავების საჭიროება. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებიდან იწყება, საქართველოს აქტიური ჩართვა საერთაშორისო საგარეო ვაჭრობაში. საგარეო ვაჭრობა არის ქვეყნისათვის საერთაშორისო პოლიტიკის სტატეგიული მიზანი. იქიდან გამოდინარე, რომ საქართველოს სათანადოდ არ აქვს ფეხი მოკიდებული მსოფლიოში ჯერ კიდევ რთული გზას მიუყვება ქვეყნის საგარეო ვაჭრობის განვითარებაში. მნიშვნელოვანია ქვეყანამ გამოიყენოს გეოგრაფიული

მდებარეობით განპირობებული შანსი და განავითაროს ქვეყნებს შორის სატრანსპორტო დერეფანი.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის კვლევიდან ნათლად ჩანს, რომ ქვეყანის საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ძირითადი ნაწილი, ტერიტორიულად ახლო მდებარე ქვეყნებზე მოდის, რომელთაშორისაა: თურქეთი, აზერბაიჯანი და რუსეთი.

დასკვნა

ნაშრომის მომზადების მიზანს წარმოადგენდა მსოფლიოში ახალი სავაჭრო კავშირების ჩამოყალიბების და მათში საქართველოს პრაქტიკის განსაზღვრა. ამის დასადგენად მოხდა განხილვა უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე თუ რა ცვლილებები განიცადა საერთაშორისო ვაჭრობამ მსოფლიოში და როგორია საქართველოს როლი საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში. კვლევის მიზნიდან გამომდინარე მოხდა შემდეგი საკითხების შესწავლა:

- ვაჭრობის როლის განსაზღვრა საერთაშორისო ურთიერთობებში;
- მსოფლიო ვაჭრობის განვითარების ტენდენციების შესწავლა ახალი სავაჭრო კავშირების ჭრილში;
- საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებების გაცნობა და მათი როლის განსაზღვრა ქვეყნის სავაჭრო ბრუნვის მოცულობაზე;
- საქართველოს სავაჭრო მდგომარეობის ანალიზი, პარტნიორი ქვეყნების გათვალისწინებით;

დასაბუთებულია დასკვნა იმის შესახებ, რომ დღესდღეობით მსოფლიოს ვერცერთი სახელმწიფო არ აქვს მნიშვნელობა განვითარებული თუ არა და რა სახის რესურსებს ფლობს, ვერ შეძლებს საერთაშორისო ვაჭრობის გარეშე დააკმაყოფილოს საკუთარი ქვეყნის მოსახლეობა. ნებისმიერი ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, როგორც ექსპორტი ასევე იმპორტი.

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ტენდენციების დასადგენად განვიხილეთ, როგორც ვაჭრობის კლასიკური, ასევე თამედროვე თეორიები. კვლევის დროს დადგინდა საგარეო ვაჭრობის განვითარებაში ვაჭრობის ლიბერალიზაციის მნიშვნელობა, რამაც საბოლოოდ ხელი შეუწყო მსოფლიოში თავისუფალი ვაჭრობის ჩამოყალიბებას არადისკრიმინაციულ პირობებში.

საერთაშორისო სავაჭრო ბრუნვის უდიდესი წილი მოდის განვითარებულ ქვეყნებზე, მაგრამ ბოლო პერიოდში მნიშველოვნად იზრდება განვითრებადი სახელმწი

ფოების როლი საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაში. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან ახალი სავაჭრო კავშირების შექმნა მსოფლიოში, მათ შორის აღსანიშნავია ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმება, რომლის საშუალებითაც დაიწყო იმ პერიოდის სავაჭრო სისტემის რეგულაცია. ვაჭრობისა

და ტარიფების შესახებ გენერალური ხელშეკრულება აღმოჩნდა საფუძველი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ჩამოყალიბების.

საქართველოს ვმო-ში გაწევრიანებამ გაუხსნა გზა საერთაშორისო ბაზარზე. უმნიშვნელოვანესი იყო ქვეყნის საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის, ვმო-ს მიმართ აღებული ვალდებულებების შესრულება. აღნიშნული პერიოდიდან იღებს სათავეს და ყალიბდება სხვადასხვა სავაჭრო კავშირები, რომელთა როლი რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც საქართველოს ასევე მსოფლიო სავაჭრო ბრუნვის გაზრდაში. საქართველო არის სხვადასხვა საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების წევრი და ყოველდღიურად ცდილობს საერთაშორისო ბაზარზე თავის დამკვიდრებას. მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ საქართველოს განვითარება ახალ სავაჭრო კავშირებში გაერთიანების შემდეგ, რაც გამოხატულია სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილებებით, რომ მოხდეს ქვეყნის სავაჭრო სტანდარტების ჰარმონიზაცია სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით განვიხილეთ 2007 წლიდან 2020 წლამდე მონაცემები, რომლის მიხედვითაც საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ძირითადად ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

ცხრილი 4.1

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდის დინამიკა
2007-2012 წლები (მლნ აშშ დოლარი)

წელი	2007	2008	2009	2010	2011	2012
ბრუნვა	6444	7797	5634	6934	9254	10 424
ექსპორტი	1232	1495	1134	1677	2189	2375
იპორტი	5212	6302	4500	5257	7065	8049
სალდო	-3980	-4807	-3366	-3580	-4876	-5674

2013-2019 წლები (მლნ აშშ დოლარი)

წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
ბრუნვა	10934	11463	9505	9407	10678	12478	12 834.7
ექსპორტი	2908	2861	2205	2113	2736	3355	3 771.5
იმპორტი	8026	8602	7300	7294	7943	9123	9 063.2
სალდო	-5117	-5740	-5096	-5181	-5207	-5769	-5 291.8

აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე 2007 წლიდან 2014 წლამდე საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 5 019 მილიონი აშშ დოლარით, რაც დაახლოებით 80%-ია. ექსპორტი 1 629 მილონი აშშ დოლარით, ხოლო იმპორტი 3 390 მილიონი აშშ დოლარით. განსხვავებულია 2015-2016 წლი მონაცემები, რომლი მიხედვითაც საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ მნიშვნელოვან კლება განიცადა, რაც გამოიხატა როგორც ექსპორტის მაჩვენებლების ასევე იმპორტის მაჩვენებლების შემცირებით.2017 წლიდან გრძელდება საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდა და 2019 წლის მონაცემების მიხედვით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 12 834.7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. 2018 წელს აღინიშნა რეკორდული მაჩვენებელი აგრარული პროდუქციის გაყიდვის მიხედვით, რაც განპირობებული იყო ქართული ღვინის ექპორტის მნიშვნელოვანი მატებით.[36]

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება გაფორმდა 2014 წლის 27 ივნისის და წლის ბოლო მონაცემებით გაიზარდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ბრუნვა და შეადგინა 2 994 მლნ. აშშ დოლარი, რაც წინა წლის შესაბამის მონაცემებთან შედარებით 123 მლნ. აშშ დოლარით მეტია. ქვეყნების ჯგუფების წილის მიხედვით საერთო ბრუნვაში 26 პროცენტი შეადგინა. 2014 წელს რუმინეთი გახდა მე-10 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა საქართველოსთვის და სავაჭრო ბრუნვამ ორ ქვეყანას შორის შეადგინა 328 188.7 ათასი აშშ დოლარი.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ბრუნვა მზარდი ტენდენციით ხასიათდება დღესდღეობით 3 147.2 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო უარყოფითი სავაჭრო ბალანსი მთლიანი უარყოფითი სავაჭრო ბალანსის 28.3 პროცენტია.[37]

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მსოფლიო ეკონომიკაში ფიქსირდება ძირეული ცვლილებები. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვანია საქართველომ გამოიყენოს თავისუფალი ვაჭრობის დანერგვით მიღებული შანსი და ეფექტურად მოახდინოს ახალი ბაზრების ათვისება. საქართველოს ევროინტეგრაციის კურხით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა

[36] https://www.geostat.ge/ka

[37] https://www.geostat.ge/ka , 2014 წლის საგარეო სავაჭრო ბრუნვა

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით. საქართველო უპრეცედენტო პირობებით სარგებლოს ევროკავშირის ბაზარზე, თუ საქართველოში წარმოებული პროდუქცია დააკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე გადის საბაჟო გადასახადების გარეშე, რაც თავისთავად უზრუნველყოფს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

როგორც კვლევისას დადგინდა, საქართველოს სავაჭრო ბრუნვა მზარდია ბოლო ათწლეულების მანძილზე, რაშიც თავისი წვლილი მიუძღვის ქვეყანაში მოქმედ სავაჭრო რეჟიმებსა და საერთაშორისო ხელშეკრულებებს. დღესდღეობით საქართველოს წინაშე მდგარი პრობლემაა უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, რომლის დაძლევას აქტიურად ცდილობს ქვეყანა. აღნიშნული განპირობებულია ნაწილობრივ ადგილობრივი წარმოების დაბალი განვითარებით. შიდა ბაზარი ჯერ კიდევ არ არის გაჯერებული ეროვნული პროდუქციით, ამიტომ იმპორტზე დიდი რაოდენობით ვართ დამოკიდებული, რაც თავისთავად ზრდის უარყოფით სავაჭრო ბალანსს. საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად მნიშვნელოვანია საექსპორტო დარგების ეფექტიანობის ზრდა. ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების გასაზრდელად აუცილებელია მოხდეს წარმოებული პროდუქიის დივერსიფიკაცია, რომ საქართველომ შეძლოს საერთაშორისო ბაზარზე თავის დამკვიდრება სხვადასხვა სფეროში.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს საქართველოსა და ჩინეთს შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდაზე და ძალაში 2018 წლიდან შევიდა. 2019 წლის მონაცემების მიხედვით ჩინეთი საქართველოს 10 უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორს შორის მე-3 ადგილზეა და საერთო საგარეო სავაჭრო ბრუნვის 9 %-ს მოიცავს. საართველო-ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე გაიზრდა ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვა 92 მილიონი აშშ დოლარით და საბოლოოთ 2019 წლის მონაცემებით 1 086.3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, მათ

შორის იპორტი 858674.6 მლნ.აშშ დოლარი, ხოლო ექსპორტი 227629.5 მლნ.აშშ დოლარის ტოლია.[38]

საქართველოს ექსპორტი არ არის საკმარისად დივერსიფიცირებული, როგორც საჭიროა ქვეყნის განვითრების დონის მიხედვით. ექსპორტში დომინირებს ნედლეული, რაც ცალსახად გვაჩვენებს ქვეყანაში არსებულ პრობლემას, რომელიც ეხება ახალი ტექნოლოგიური და ინოვაციური პროექტების დანერგვას, რასაც ნათლად ნახატი 4.1 ახსახავს.

დიაგრამა 4.1



საგარეო ვაჭრობის მიხედვით საქართველო სწორად ვითარდება, რაშიც უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებებს და შემცირებულ საბაჟო ტარიფებს. ქვეყანამ მაქსიმალურად ხელი უნდა შეუწყოს თავისუფალი ვაჭრობის განვითარებას, რაც დაგვეხმარება შედარებითი უპირატესობა გამოვიყენოთ საერთაშორისო ვაჭრობაში და ჩვენი ქვეყანის როლი კიდევ უფრო განვამტკიცოთ საერთაშორისო ბაზარზე. ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს საექსპოტო პოტენციალის მცირედი ზრდა განპირობებულია ქვეყანაში არსებული მოძველებული დანადგარებით და ტექნოლოგიებით, რაც ვერ უზრუნველყოფს ხარისხისნი პროდუქციის წარმოებას, რომელიც შესაბამის კონკურენციას გაუწევს საერთაშორისო ბაზარზე წარმოდგენილ იგივე სახის პროდუქციას.

საქართველოს, როგორც პატარა ქვეყნის არსებობა შეზღუდული რესურსების პირობებში ზრდის ქვეყნის დამოკიდებულებას საგარეო ბაზრებზე. სტატისტიკური მონაცემების გაანალიზებამ გვიჩვენა, რომ ყოველწლიურად იზრდება საგარეო

[38] https://www.geostat.ge/ka

სავაჭრო ბრუნვა და ბოლო მონაცემების მიხედვით 12 834.7 მლნ. აშშ დოლარია. ბოლო პერიოდში იკლებს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი და 2019 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით იგი შემცირდა 470 მილიონი დოლარით და წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 4.9 პროცენტით შემცირდა და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41.2 პროცენტი შეადგინა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბურდული თამარ, ეკონომიკური გარდაქმნები საქართველოში: გზა შოკური თერაპიიდან ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო ზონამდე, 2015 წელი, https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2015/2015_2/statia3.pdf;
2. დანელია ირაკლი, საქართველო-ჩინეთის თავისუფალი ვაჭრობა, 01.09.2017, https://forbes.ge/news/2712/Tavisufali-vaWroba;
3. ევგენიძე ნინო, ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება ხელმოწერილია, რადიო თავისუფლება, 16.05.2017;
4. თავართქილაძე მარინე, ნაციონალური სავაჭრო რეჟიმები და GSP/GSP+ სქემის ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობები, დისერტაცია, თბილისი 2016;
5. ლეკაშვილი ეკა, საერთაშორისო და რეგიონალური ეკონომიკური ორგანიზაციები, თსუ 2012;
6. მიქაბერიძე თამთა, საქართველოს საგარეო ვაჭრობა და მისი განვითარების პერსპექტივები WTO-ს შეთანხმების საზღვრებში, დისერტაცია, თბილისი 2016;
7. ოქროცვარიძე ავთანდილ, ოქროცვარიძე დალი, ვადაჭკორია მაგდა, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი 2009;
8. პიტერ ჰ. ლინდერტი , საერთაშორისო ეკონომიკა, თბილისი 2001;
9. ჟვანია ნინო, საერთაშორისო ვაჭრობა, სავაჭრო ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, თბილისი 2010; https://www.nplg.gov.ge/geo/home
10. ჩეჩელაშვილი ვალერი, საქართველოს საგარეო ვაჭრობა: როგორ გავამყაროთ დადებითი ტენდენციები, 22.10.2018, https://www.gfsis.org/ge/blog/view/874;
11. ძებისაური ლია, საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა, დისერტაცია, თბილისი 2012;
12. ჯოლია გურამ, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი 2015;
13. ჩაჩხიანი ანი, საქართველოს საგარეო სავაჭრო პოტენციალის ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი 2019;
14. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020, http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/1_sakartvelos_socialur-ekonomikuri_ganvitarebis_strategiis_-_sakartvelo_2020.pdf;

15. საგარეო ვაჭრობა:ექსპორტი საქართველოდან თითქმის მესამედით გაიზარდა, 16.01.2018, https://sputnik-georgia.com/economy/20180116/238915819/sagareo-vaWroba-eqsporti-saqarTvelodan-TiTqmis-mesamediT-gaizarda.html;
16. Basu, S., International Taxation of E-Commerce: Persistent Problems and Possible Developments, Journal of Information, Law & Technology, 2008, 4; (22.01.2020);
17. OECD, The Role of Digital Platforms in the Collection of VAT/GST on Online Sales, OECD, Paris, 2019, 13; (22.01.2020);
18. http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/BSEC.aspx, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC);
19. http://www.economy.ge/index.php?page=economy&s=7%20%20(%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA);
20. http://www.parliament.ge/uploads/other/22/22580.pdf , ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველო, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი 2014;
21. http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/tavisufali_vachrobis_shetanxmeba_georgia_china/shetankhmeba_2018/1_china_georgia_fta_geo.pdf ;
22. http://mfa.gov.ge/News/saqartvelosa-da-chinets-shoris-tavisufali-vachrobi.aspx, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება გაფორმდა;
23. http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/shetanxmeba-1994.pdf, შეთანხმება თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ;
24. https://www.gfsis.org/media/download/EJSEF/Eliso_Janashia.pdf, ჯანაშია ელისო თავისუფალი ვაჭრობის პერსპექტივები საქართველოში;
25. http://www.tabula.ge/ge/story/57942-tavisufali-vachrobis-perspeqtiva , თავისუფალი ვაჭრობის პერსპექტივა, 14.02.2012;
26. https://www.geostat.ge/media/28994/saqonlit-sagareo-vachroba-saqartveloshi-20.01.2020-%28geo%29.pdf, საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში

2019(წინასწარი შედეგები), საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 20.01.2020;

27. http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/danarti-1.pdf;
28. http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებები და სავაჭრო რეჟიმები;
29. https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/49071/node/49071_ka საქართველო და ევროკავშირი, 02.08.2018;
30. http://eprints.tsu.ge/1432/1/Development%20tendencies%20of%20the%20trade%20relations%20between%20Georgia%20and%20China.pdf ფუტკარაძე რამაზ, საქართველო-ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობების განვითარების ტენდენციები;
31. http://ge.china-embassy.org/eng/xwdt/t1522850.htm ; (22.01.2020);
32. https://www.geostat.ge/ka; (22.01.2020);
33. http://www.economy.ge/index.php?page=home; (22.01.2020);
34. http://mfa.gov.ge/;(22.01.2020);
35. https://mof.ge/;(22.01.2020);
36. https://ka.wikipedia.org/wiki; (22.01.2020);
37. https://www.wto.org/english/res_e/statis_e/wts2019_e/wts2019_e.pdf; World Trade Statistical Review 2019; (22.01.2020);
38. European Union reaches 500 Million through Combination of Accessions, Migration and Natural Growth. Vienna Institute of Demography , (22.01.2020);
39. https://unctad.org/en/Pages/Home.aspx;(22.01.2020);